

მიჯნა

საზოგადოებრივი ჟურნალი, № 3 (8), აგვისტო, 2017

ერთი ლექსის სიბოლო

ზაურ მოლაშხია

ეს რანაირი ყისმათი დამყვა

I

ეს რანაირი ყისმათი დამყვა –
სხვის გამო მენვის (ადრეც და ახლაც!)
სოფელში სახლი, ქალაქში ბინა!
მეგონა ვიღვნი... თურმე წყალს ვნაყავ...
მხოლოდ ლექსი გრძნობს ამ გულის გმინვას!

II

იყო უჩინრად როკვა უგნურთა
და ცეცხლის შუქზე ქროლვა ლანდების...
ზოგს სიხარულით თავი უხურდა,
ზოგი კი დუმდა გულის ანთებით!

ცნობისმოყვარე მაყურებლებით
იყო მღელვარე გარეშემონი...
ბოროტთა ტვინის მახურებელი
ვნებით ნაბავდა თვალებს დემონი!

III

იდგნენ წალიკად: — მტერიც, მოკეთეც,
გაიძვერაც და გულის მცნობელიც...
მე ცეცხლის ალით ხელი მომკვეთეს
და... მანყნარებდა წუთისოფელი!

IV

ვინ იცის,
ვის რას უმზადებს სვე და
სად ჩანავლდება ცეცხლი ოცნების...
აქ ნახშირეულ წიგნებზე სევდა
წყრომით წრიალებს წარუხოცველი!

V

მღვრიე ქარებმა აჭრილ სივრციდან
ნისლთა აფრები ზღვებს მიუფინეს...
მესხის ქუჩაზე ცეცხლით მიხდიან
სამოცდაათის ცხელ იუბილეს!

დამფუძნებელი, პროექტის

ავტორი და გამომცემელი:

თავისუფალ შემოქმედთა გაერ-
თიანება და შპს „გამომცემლობა

„მიჯნა“, რეგისტრაციის

№ B12127840

რედაქტორ-
გამომცემელი
მურმან ზაქარაია

ნომრის
რედაქტორი
თენა ზაქარაია

მისამართი:

ქ. თბილისი, ტაშკენტის ქ.
№25, ბ. 1, ტელ./ფაქსი
2-38-03-11

ISSN

მიჯნა 2449-237X

ს ა რ ჩ ე ვ ი

ერთი ლექსის ხიბლი

ზაურ მოლაშხია

ეს რანაირი ყისმათი დამყვა.....1
კლასიკა

რევაზ სირაქა

„ჩვეულებისამებრ მამულისა სვლა“.....3

ჯემალ შონია 70

ლექსები.....8

საგვარეულოს ღირსეულ

წარმომადგენელს12

შემოქმედებითი აღმავლობით...13

ლავა გვასალია

მარადიული, ამოუხსნელი სევდით...15

რობერტ პეტრიაშვილი

უცვლელი მრწამსით17

ზაურ მოლაშხია

სამოცდამეათე ზეკარი.....19

გიორგი სიჭინავა

ჯემალ შონიას21

მურმან ზაქარაია

პეშვით დაღეული პოეზიის სული22

გია ხუბუა

ჩაუჭრელი კაცი და პოეტი.....27

ირინე ტალიაშვილი

მამულიშვილის მძიმე ტვირთი.....29

კახა ქეცბაია

ჯემალ შონიას ფილოსოფიური
პოეზიის შესახებ31

მანგული ხუბუა

გაისად აფხაზეთში.....33

ვალერიან ვეკუა

გაგმარჯვებოდეს მტერზედა!..33

ჯემალ შონია

ირაკლი გოცირიძის გვერდით34

ჯემალ შონია

მტრის წისქვილი მოყვრის მდინარეში.....38

ბადრი შონია

ლექსები.....42

პოეზია

გომი შონია

ბინეხში სიმფონია.....46

ვალერიან ვეკუა

ლექსები.....47

ჩვენი მილოცვა

ვულოცავთ ლუარა (დოდო)

გამყრელიძეს!.....49

ვულოცავთ ნოდარ ნონიაშვილს!.....50

ჯემალ შონია

რაც კარგი ქენი.....51

ხსოვნა

ჩვენი დაუვიწყარი ანტონი.....52

მიხა კოლხის გახსენება.....53

რადესაც დედა მიდის54

რეპაზ სირაძე

„ჩვეულებისამებრ მამულისა სვლა“

ეს ნაწყვეტი წერილიდან „ჩვეულებისამებრ მამულისა სვლა“ ამოღებულია რ.სირაძის წიგნიდან „ქრისტიანული კულტურა და ქართული მწერლობა“, ტომი I, რომელიც დაბეჭდილია თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობაში 1992 წელს. როგორც ჩანს, წერილი დაწერილია უფრო ადრე, ალბათ დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ. წერილის შინაარსიდან და აქცენტითაც კარგად ჩანს, რომ ის მიმართულია რუსული იმპერიული ძალადობის წინააღმდეგ – მათი მიზანმიმართული ქმედების საპირისპიროდ, რათა შიდა არეულობის, ე.წ. ოპოზიციური „წინააღმდეგობის ერთიანი ფრონტის“, რუსთაველზე მოწყობილი ბარიკადების გამოყენებით, მთელი ცივილიზებული სამყაროსთვის ანტიქართული, გონის მომწამლავი პროპაგანდის თავზე მოხვევით ისევ შეგვაბრუნონ იმპერიაში: „ჩვენივე თანხმობით დაკანონდეს ჩვენი ყოფნა სხვის სახელმწიფოში“. ესე იგი, ეს წერილი გაფრთხილება იმით მიმართ, ღმერთო შეგცოდე და, რომლებმაც არ იციან „რასა იქმან“.

მაშინ, ამ და სხვა უფრო მძაფრ და დადასტურებულ გაფრთხილებებს არ უგდეს ყური და შედეგად ჩვენი მრავალათასიანი ისტორიის მანძილზე ჩავიდინეთ ყველაზე საშინელი ლალატი და მივიღეთ ის, რაც მივიღეთ. ამას დღეს ყველა აღიარებს, თვით მოლაღატენიც, ოღონდაც მას შეცდომის „უმანკო“ სამოსლით მოსავენ.

დღესაც ამ ნაწყვეტს ვაქვეყნებთ იმავე გაფრთხილების მიზნით, რომ რუსეთის ორბიტაში ფეხის შედგმა და სატანისგან ამბორის მიღება არაა ჩვეულებისამებრ მამულისა სვლა, არამედ არის ახალი, უფრო დიდი ლალატის ჩადენა, აქ ორჯონიკიძის და სტალინის მაგალითით (ისინი მსოფლიო პროლეტარიულ რევოლუციას ემსახურებოდნენ თავიანთი გონებით) გულის დამშვიდება, თუნდაც გიორგი XII-ის უგუნურობის მოშველიება არას გვარგებს.

ეს მოლაღატეთა რიგებში ჩადგომა და საკუთარი თავისა და მოდგმის შერცხვენა იქნება. ამიტომ, კეთილი რჩევა (თუკი კადნიერებაში არ ჩამოგვართმევენ) იმით მიმართ, ვინც იმ „დიდი ლალატის“ ჟამს მამულის ჩვეულებისამებრ ვიდოდა: ცოტა ფრთხილად შეხედონ ყოველივე იმას, რასაც რალაცნაირი შეხება აქვს რუსულ „სისხლისმსმელურ“ იდეოლოგიასთან, თუნდაც ტერმინოლოგიურად.

ამ წერილის შინაარსიდან გამომდინარე, ე.წ. ქართული მარშის მონაწილეთა ამ „მამულისა ჩვეულებისამებრ მსვლელთა“ გულწრფელ ნაწილს გვინდა მოკრძალებით შევახსენოთ, რომ თუ ეს ღონისძიება მართლაც „ქართულია“, მაშინ ეს „მარში“, რომელიც ჩვენი შვილების, ძმების და დების სისხლის დამანთხეველთა მურტალი ძალმომრეობის სიმბოლოდაა მიჩნეული მთელ ცივილიზებულ სამყაროში, მოაშორეთ მას, რათა მომავალმა თაობებმა, რომელთათვის „მარში“ სიმბოლო იქნება ბოროტებისა, საფლავში არ ჩაგვძახონ... ამიტომ იმათი ვინც ქართულ მეობასა და ღირსებას ნამდვილად ეძიებს და მისი მოფრთხილება უნდა, ვთავაზობთ ამ იდეურად გამართულ, ქართული, ღირსების სულით გაჟღენთილ „ტრაქტატს“, აღვსებულს დიდი ისტორიული გამოცდილებით, რომელსაც როგორც ავტორი იტყვის თავად დაემყარა და ჩვენთვისაც განსაზღვრა – „მამულის ჩვეულებისამებრ სვლა“.

„ჩვეულებისამებრ მამულისა სლვა“, – იოანე საბანისძის ეს სიტყვები ყოველი დროისთვის მნიშვნელოვან, ფუნდამენტურ ეროვნულ კონცეფციას შეიცავს. ასე განმარტავს მათ ივანე ჯავახიშვილი ეს სიტყვები გულისხმობენ, რომ ყოველ ერს თავისი ისტორიული გზა და კვალი აქვს. იგულისხმება ისიც, რომ ქართველთა მიერ გააზრებული უნდა იყოს თავისი სამშობლოს ცხოვრების ტრადიციული წესი, რაც ყოველ დროს და ყველასთვის სახელმძღვანელო უნდა გახდეს.

ეს სიტყვები ნათქვამია 1200 წლის წინათ („წმ. აბო თბილელის წამება“ დაწერილია 786-790 წლებში).

ჩვენ გვმართებს მოვიხმოთ დიდი ქართველი მწერლის მაღალი სიბრძნე, რომელიც გახდა საფუძველი მთელი შემდეგდროინდელი ჩვენი არსებობისა. ეს განსაკუთრებით გვმართებს სწორედ დღეს, როცა, შეიძლება ითქვას, ჩვენი სამომავლო ყოფნა-არყოფნის საკითხი წყდება.

ძალზე შორსაა ჩვენგან იოანე საბანისძე, მაგრამ იგი გვახსენებს, რომ ერისთვის არსებობს ზედროული პრობლემები, გვახსენებს, რომ ცალკეულ ეპოქათა მოღვაწენი პასუხს აგებენ ერის მრავალსაუკუნოვანი წარსულისა და მრავალსაუკუნოვანი მომავლის წინაშე, რომ ერისთვის ათასი წელი ჭეშმარიტად ერთი დღეა, რომ „ჩვეულებისამებრ მამულისა სლვა“ ბევრი რამით ყველა დროისთვის საერთო უნდა იყოს.

მაგრამ არსებობს ეპოქები, როცა ყოველივე ამის გათვალისწინება განსაკუთრებით საჭიროა.

ასეთი დროა ახლა, ასეთი დრო იყო VIII საუკუნეშიც. მაშინ არაბთა ძალმომრეობის ეპოქა იდგა. VIII საუკუნეს განსაკუთრებით დაეჯერება, რადგანაც მაშინ მსოფლიოს დამთრგუნველი ძალის წინაშე იდგნენ. თბილისის არაბთა საამირო უკვე დაარსებული იყო, რომელიც თითქმის ოთხი საუკუნის განმავლობაში არსებობდა.

ჩვენი ერის ისტორიაში, სხვაობათა მიუხედავად, ძნელბედობებით აღსავსე

არაერთი ხანა ერთმანეთს ჰგავს. დღეს „თანამედროვე ფორმით“ გვთავაზობენ, ჩვენივე თანხმობით დაკანონდეს ჩვენი ყოფნა სხვის სახელმწიფოში, რომელშიაც ნებაყოფლობით შემსვლელთ აღარ ექნებათ უფლება მისგან ნებაყოფლობით გამოსვლისა. ამით ჩვენ დიდი ისტორიული გამოცდის წინაშე ვდგებით. ჩვენივე არჩევანმა უნდა განსაზღვროს, ვართ თუ არა ჩვენ ღირსნი თავისუფლებისა. ამ პრობლემის გადაწყვეტისას ჩვენ პასუხს ვაგებთ მომავალი თაობების წინაშე, თანაც არა მხოლოდ ქართველთა წინაშე, არამედ წინაშე ყველა სხვა დამოუკიდებლობისათვის მებრძოლი ერისა, რადგან როცა ერთი ერი თმობს დამოუკიდებლობას, ამით სხვისთვისაც ქმნის არასასურველ პრეცედენტს.

„აბო თბილელის წამება“ მიმართულია არაბთა ძალმომრეობის წინააღმდეგაც, უფრო ზუსტად, წინააღმდეგ ქართველთა მიერ რწმენის დაკარგვისა. ქართველები „გარდაგულარძნესო (ე.ი. რწმენა გაუმრუდესო), – წერს იოანე საბანისძე, – რომელნიმეო მძლავრებით, რომელნიმე შეტყუველით, რომელნიმე სიყრმესა შინა უმეცრებით, რომელნიმე მზაკუვარებით და სხუანი რომელნი-ესე ვართ მორწმუნენნი, მძლავრობასა ქუეშე დამონებულნი და ნაკლულევანებითა და სიგლახაკითა შეკრულნი, ვითარცა რკინითა, ხარკსა ქუეშე გუემულნი და ქეჯნილნი, ძვირად-ძვირად ზღუელნი, შიშითა განილევინ და ირყევიან, ვითარცა ლერწამნი ქართაგან ძლიერთა“. მიუხედავად ამისაო, – განაგრძობს იოანე საბანისძე, – „ქრისტეს სიყუარულითა და შიშითა, ჩვეულებისამებრ მამულისა სლვისა, ჭირთა მოთნიმენითა, არა განეშორებბიან მხოლოდშობილსა ძესა ღმრთისასა“.

ეს სიტყვები არაა გამიზნული მხოლოდ ეროვნულ ძნელბედობათა წარმოსაჩენად. აქ სხვა რამაა უმთავრესი სათქმელი, კერძოდ ის, რომ უბედურებათა განცდა სულიერ განწმენდას უნდა იწვევდესო და ვერ უნდა გვიკარგავდესო რწმენას. ასეთი იყო და არის „მამულისა ჩუელებისამებრ სლვაო“.

აქედან ისიც ჩანს, რომ ერის სულიერი

თავკაცი ერის ნაკლოვანებათა მხილებას არ ერიდება, სიმდაბლეს არ ამართლებს ძნელბედობით და ამიტომ იოანე საბანისძე ჭეშმარიტი წინამორბედი ილია ჭავჭავაძისა. საერთოა მათთვის აზრი, რომ ერის სისუსტეა, თუ ის მხოლოდ თავის ღირსებებზე ფიქრობს, ხოლო ერის ძლიერება იმით გამოიხატება, თუ რამდენად ძალუძს მას თვალი გაუსწოროს საკუთარ ნაკლოვანებებს, ეპოქისეულსაც და მუდმივთანმხლებსაც.

არაბთა წინააღმდეგ მიმართულ იოანე საბანისძის თხზულებაში იდეალიზებული არაბი აბო. ასეთი ეროვნული ტოლერანტობა საერთოდ დამახასიათებელია ქართული აგიოგრაფიისათვის (ნმ. შუშანიკი სომეხი ქალია, ნმ. ევსტათი სპარსელია) და მთელი ქართული მწერლობისთვისაც („ამირანდარეჯანიანი“, „ვეფხისტყაოსანი“). მწერლობის ამგვარი პოზიცია ცვალობაგვს „მამულისა ჩვეულებისაებრ სლვას“. ის, რაც გაიდელდებოდა სხვათა სახეში, უფრო მეტად მოეთხოვებოდა ქართველს. **ამ გზით მკვიდრდებოდა მნიშვნელოვანი აზრი, რომ ქართველთაგან ქართველობა მხოლოდ ღირსებად კი არ უნდა აღიქმებოდეს, არამედ მოვალეობად.** ასეთი მიზნითაა იდეალიზებული „ვეფხისტყაოსანში“ არაბი პერსონაჟი, სხვაგვარად გაუგებარი იქნებოდა, გაიდელდებულიყო წარმომადგენელი იმ ქვეყნისა, რომელიც თითქმის ოთხ საუკუნეს ბატონობდა ქართლში.

ეროვნული ტოლერანტობა სრულიადაც არ მოასწავებდა ეროვნულ ნიჰილიზმს, რაც კარგად ჩანს „აბო თბილელის წამებიდანაც“, სადაც ქართლის ჭირის ერთ-ერთ მთავარ გამოხატულებად მიჩნეულია ის, რომ „აღვერიენით ერსა უცხოსაო“.

იოანე საბანისძე ქართველთა დიდ სამომავლო საფიქრალთან აკავშირებს საკუთარ ეროვნულ ნაკლოვანებათა მხილებას და **ქართველთა უღირსობას ხელალებით მხოლოდ არაბობას კი არ აბრალებს, არამედ საკუთრივ ჩვენსავე თანამდევ თვისებად თვლის. თანაც ეროვნული ნაკლულევაწანი თავის თავზე უნდა მიიღოს პიროვნულად ყველამ.** არვის შეჰფერის, რომ ცოდვებიან ერს დაუპირისპირდეს როგორც

უცოდველიო. ეს ევანგელურ-აგიოგრაფიული იდეალი ქართულ მწერლობაში შემდეგშიაც მუდმივად ვლინდებოდა. დავით აღმაშენებლის „გალობანი სინანულისანში“ ეს ასე გამოიხატა: ეროვნულ ნაკლოვანებებს თავის თავზე ყველაზე მეტად უნდა იღებდეს ერის თავკაცი, როგორც მეფე და როგორც პიროვნება. „ქართველთ მადლს ცოდვამ დასძლიაო“, – ამბობდა დავით გურამიშვილი და ყველაზე მეტად ცოდვილიანად თავის თავს რაცხდა.

ერს უნდა აერთიანებდეს არა მხოლოდ პიროვნებათა ღირსებით თანასწორობა, არამედ თანასწორობა ეროვნულ ნაკლოვანებათა პირისპირ დგომისას. ღირსების შეგრძნება კი არ წარმოადგენს ნაკლოვანებას, არამედ ნაკლოვანებათა შეგრძნება წარმოაჩენს ღირსებას. ამის შეგნებითაა გამსჭვალული იოანე საბანისძისეული გალობანი სინანულისანი, რასაც „აბოს წამების“ მეოთხე თავი შეიცავს (გრიგოლ ღვთისმეტყველი ამბობდა: „სინანული – ცვლაა უმჯობესთა მიმართ“).

იოანე საბანისძე ქართველთა ეროვნულ ღირსებებზედაც იმ მიზნით მსჯელობს, რათა გვიჩვენოს, თუ როგორ დავკარგეთ ანდა როგორ ვკარგავთ მათ. იგი გამოჰყოფს ქართველთა ეროვნულ-სარწმუნოებრივ ღირსებათა წარმომარჩენელ ოთხ ნიშანს: ჩვენ ვცხოვრობთ საქრისტიანო სამყაროს განაპირას და მართოდ-მართონი ვიცავთ ჩვენს რწმენასაო; ჩვენ ერთ-ერთი უძველესი ქრისტიანი ერი ვართ; ჩვენ სარწმუნოება ბერძნებისას ეთანატოლება; ჩვენი ქვეყანა წმინდათა სამშობლოაო.

იოანე საბანისძეს სურს შეაგრძნობინოს ქართველობას, თუ რაოდენ დიდი ღირსების დაკარგვის საფრთხის წინაშე დგას, სურს შეაგრძნობინოს, რომ ამგვარ ღირსებათა დაკარგვა არანაკლები სიმდაბლეა, ვიდრე ყოველივე ამის თავიდანვე არქონა. იგი იმედოვნებდა, რომ დიდი უბედურების ზღურბლზე დგომა გამოაფხიზლებდა ქართველებს. **უბედურების შეგრძნებამ შეიძლება გონიერება შეჰმატოსო ერს და უფრო უკეთ გაააზრებინოს თავისი წარსული, აწმყოც და მომავალიც..**

ამ გზით ერი შეძლებს თავისი უბედურება ბედნიერებადაც კი გადაიქციოსო. ცხადია, ყოველივე ეს იოანე საბანისძისათვის არ იყო ოდენ მჭვრეტელობითი პრობლემა. მისი ნააზრევის სირთულე ანარეკლი იყო რთული ეპოქისა.

„მამულისა ჩვეულებისაებრ სვლას“ უკავშირდება ი.საბანისძესთან იმის გათვალისწინება, რომ ჩვენ ვცხოვრობთ საქრისტიანო სამყაროს განაპირას („ყურესა ამას ქუეყანისასა“) და მარტოდ-მარტონი ვიცავთ ჩვენ თავსაო „ზედამდგომელთაგან ამათ ჩუენთა, მფლობელთა ამის ჟამისათა“ და ეს მიაჩნია ჩვენი ეროვნული არსებობის მუდმივთანმხლებ ფაქტორად. მართლაცდა, ეს დღესაც ასეა.

იოანე საბანისძე ეროვნულ ამოცანებს განსჯის გარემომცველ მსოფლიოში ჩვენი ქვეყნის ადგილმდებარეობის გათვალისწინებით; სამხრეთიდან არაბთა ძალმომრეობაა, ხოლო „ქუეყანასა მას ჩრდილოისასა არს სადგური და საბანაკე ძეთა მაგოგისათა, რომელ არს ხაზარნიო“ (იოსებ ფლაპიოსის განმარტებით: „მაგოგემ დაასახლა მხარე, რომლის მცხოვრებლებსაც, მისი სახელის მიხედვით, მაგოგები ეწოდება, ხოლო ელინები მათ სკვითებს ეძახიანო“. იუდეველთა სიძველენი, თ.ყაუხჩიშვილის თარგმანი, გვ. 80). დასავლეთითაა „საბრძანებელი ქრისტეს მსახურისა იონთა (ბერძენთა) მეფისა, რომელი მოსაყდრე არს დიდსა მას ქალაქსა კონსტანტინოპოლისასა“.

ასეთი იყო ჩვენი გარემოცვა და არავინ იყო ჩვენი დამხმარე. ნერსე ერისთავი ხაზარეთს წასულა, ალბათ, იმის იმედით, რომ არაბების მტრობით შეიძლება დახმარება აღმოგვიჩინოსო (სხვათა შორის, ბერძნებიც ამ დროსაც და შემდეგაც იმავე საფუძველზე ეძებდნენ ხაზართა დახმარებას), მაგრამ ნერსეს ხაზართაგან (ანუ სკვითთაგან) დახმარება ვერ მიუღია. აქედან აფხაზეთს გადასულა, სადაც ოჯახი ჰყოლია გახიზნული. ი.საბანისძე ხაზგას-

მით აღნიშნავს, რომ აფხაზეთში ქრისტიანობაა და „არავინ ურწმუნოთაგანი მკვიდრი იპოვებისო საზღუართა მათთა, რომეთუ საზღუარ მათდა არს ზღუა იგი პონტიოსა, სამკვიდრებელ ყოვლად ქრისტიანეთაო“.

მართალია, მას შემდეგ დიდად შეიცვალა რწმენა-ურწმუნოებით ჩვენი გარემოცვა, მაგრამ ბევრი რამ უცვლელი დარჩა ისტორიული გეო-პოლიტიკიდან და ეს მეტად ნიშანდობლივია.

იოანე საბანისძე ეროვნულ-სარწმუნოებრივ პრობლემებს განსჯის არა მხოლოდ გეოპოლიტიკურ ფაქტორთა გათვალისწინებით, არამედ დროის ფაქტორთა კვალობაზედაც. დრო უალრესად მრავალნაირადაა მის მიერ გააზრებული: კერძოდ, რელიგიური თვალთახედვით, პოლიტიკური თვალსაზრისით თუ ისტორიული ქრონოლოგიის მიხედვით. რელიგიური თვალსაზრისი გამოიხატება იმით, რომ მოვლენები გააზრებულია, ერთი მხრივ, მარადიულობის, ხოლო მეორე მხრივ, წუთისოფლის მიხედვით. აქვე მოხმობილია კონსტანტინოპოლის მეფეთა და არაბთა ხალიფის ზეობის დრო-ჟამი, ქართლში არსენის კათალიკოსობა და სტეფანოზის ერისმთავრობა. იოანე საბანისძისათვის ყოველივე ამის ურთიერთგარდაკვეთას წარმოადგენს კონკრეტული ეროვნული დრო-ჟამი. ეროვნულ-სარწმუნოებრივი მოვლენები გააზრებული და ურთიერთმეჯერებულია ყველა შესაძლებელი დროული თვალსაზრისით. ასე ფართოდ ხედავს იოანე საბანისძე მოვლენათა არსს, მათ დროულ და ზედროულ რაობას.

დღეს არცთუ იშვიათად გაიგონებს კაცი იოლად ნათქვამს – საქართველოში პოლიტიკური აზროვნების ტრადიციები არ ყოფილაო. ამის უარსაყოფად იოანე საბანისძის ნააზრევიც კმარა.

იოანე საბანისძესთან შეგვიძლია დავინახოთ ბევრი ისეთი კონცეფცია, რომელიც განსაკუთრებით აკლია დღევანდელ რაობას.

ჯემალ შონია – 70



ლისი

ამ ხატებთან

მაქვს ილორის, წალენჯიხის ხატები
ლოცვით სავსე ცრემლის თვლებით
შემკული,
ამ ხატებთან, სულო, ამონათდები,
როგორც დილის ნისლებიდან – ენგური.

მეც სანთელი მქვია ერთი ანთება,
ენგურივით ჟამთ გამოვსცდი მძინარეთ;
მეც ოდიშის მკერდზე დავიხატები
კალმახებით გადანინკლულ მდინარედ.

გაუმართავთ დოლი ქართა ტაიჭებს,
ვიცი, იმით გული რას უკარნახებს,
მაგრამ მხოლოდ მზის სხივი თუ დაიჭერს
ჩემს ლოცვებში მოელვარე კალმახებს.

ცანი მიქრიან

იქ ისევ ჩემი ფესვი მეგულვის,
სადაც ბელტების დარდს გავეცანი...
გაქვავებული, კრიჭაშეკრული
მინის თავზე კი ქრიან ზეცანი.

ჟამნო, კვლავ მინის ყმობას მასწავლით,
რაშიც არც კვირტი და არც ფიფქია...
და მეც მინაზე ვგდივარ ქვასავით
და სულ უჩემოდ ცანი მიქრიან.

არც ქარებს ველი, ბნელთა მიმქრობებს,
თურმე ყველანი აქვე ვეტევი...
ჰა, ბოლო ზეცაც გადაიქროლებს
და ამევსება მზერა ბელტებით.

ნათელთა ნაპირთან

დიახ, ჩვენ იესო სინათლეს დაგვპირდა
და ბნელი ველარ გვჩაგრავს...
ჩვენ ვხედავთ სწორედ შუქს,
არეკლილს საგნიდან,
და არა თვითონ საგანს.

ჩვენ ვდგავართ დაუშრეტ ნათელთა
ნაპირთან
და ამიტომ ვართ მხნედაც...
ჩვენ ვხედავთ მხოლოდ შუქს,
არეკლილს საგნიდან,
საგანს კი ღმერთი ხედავს.

შენს საპოვნელად...

არ ისმის ხნულში მარცვლის ფაჩუნი,
აღარ შრიალებს ველზე ნათესი...
რა უმწეოა მზე გაძარცული:
ველარ გპოულობ დღის სინათლეში!..

მე უნდა შემძრან ღამის ელდებმა,
მეც უნდა მწვავედეს ბედის იარა;
მარცვალი როგორ აღმოცენდება,
თუ მინის ბნელი არ გაიარა.

მეც ბედისწერის თხოვნას შევისმენ,
რომ ერთმანეთთან ვიყოთ მართლები:
ჰა, სინათლესთან ერთად ბნელისკენ
შენს საპოვნელად მივემართები...

ახალ ღვინომდე

ეტყობა, ქვევრში უკვე შეწყდა
 ღვინის დუღილი,
 დუმილთან ერთად ყვითელ ფოთლებს
 თოვლი ედება...
 დგახარ სარკმელთან, ახალთახალ
 ზამთარს უღიმი,
 შენც ღვინოსავით გასურს სიმშვიდით
 გამოკეთება.

სხვა გზა არ არის, იმ ქვევრს თავი
 უნდა მოხადო
 და იქვე უნდა მოიყუდო
 სველი ორშიმო,
 რათა ამ თოვლში ნატვრა აღარ
 დაგჩქეს ოხრადა,
 გაზაფხულამდე რათა სული
 დაიშოშმინო.

თუ გინდა, ზამთარს ერთფეროვანს
 კვლავ უღიმოდე
 და ზმანებებში იშრიალონ
 ლურჯმა ფარდებმა, –
 მიდი, დალიე, სანუგეშოდ
 ახალ ღვინომდე
 ცარიელ ქვევრში ცის ნაჭერი
 ჩაგივარდება.

ვზივარ წვიმაში

ვერ ავაშენე ფიქრის ბუხარი
 და ვერც სურვილთა ცეცხლი დავანთე,
 ვარ უსახლკარო, ისევ მწუხარე
 ზეცის სიღრმეში ვარ მონავარდე.

ქარმა წაიღო კერის ნაცარი,
 ჟამმა დასეტყვა ქვა საკრებულო,
 წამართვა ღამემ ელვის მარცვალი
 და მის ბედ-იღბალს ველარ ვგებულობ.

გაზაფხულებს კი კვლავ სურთ ცად
 ტკბობა,

ჩემი გაჩენა ალბათ იწყინეს...
 ვზივარ წვიმაში, რომ გასათბობად
 კვლავ მივუშვირო ხელი სიცივეს.

ცის ნაჭერი

როცა დილა სარბევია ღრუბელთა
 და ვერ ვხედავთ მაცოცხლებელ
 საფირონთ, –
 დავარწყლოთ მაინც შუქით უბე და
 ცის ნაჭერი ჭიდან ამოვაფრინოთ.

როცა სცივა სულსაც ღრუბლის
 ველივით,
 მოედება როცა წვიმა ალიონთ, –
 ცის ნაჭერი, ჭიდან ამოფრენილი,
 არ მოვითქვათ სული, ისე დავლიოთ.

შენაც დაგეძებს

კვლავ შენს ტკივილზე უნდა მღეროდე,
 რომ დაინახონ შუქი ცრემლებმა,
 შენაც დაგეძებს შენი ჰეროდე
 სწორედ იმ შუქის შესაჩერებლად.

შენაც შენს ჯვარქვეშ უნდა გმინავდე,
 გამოეთხოვო სხვაგვარ არჩევანთ...
 შენაც გაგწირავს შენი პილატე
 თვით შენში უფლის აღმოსაჩენად.

სწრაფი ღრო

ფრთები არა მაქვს, ამის გამო
 ფიქრთა აფრიან
 გატაცებათა განბილებას
 უნდა ვგლოვობდე...
 რადგანაც ეს ღრო თავის თავზე
 უფრო სწრაფია, –
 მარტის დასაწყისს ხომ მივასწრებ
 მარტის ბოლომდე?

ისევ მიხმობენ!.. კვლავ ჯიუტი
მესმის ძახილი,
ამ სააქაოს გამო იქაც
უნდა ვგმინავდე...
ერთი რამ მაინც მოვახერხე,
თუნდაც ჯახირით:
ჩემს დაბადებას მოვესწარი
ჩემს სიკვდილამდე.

იესო

სამყაროს სიგრძეს
და სიგანეს დიდებით გასცდა
იესო – ღვთის ძე,
იმედი და ნუგეში კაცთა...

წყალობად შეგვხვდა
მადლი მისი სინათლის ქართა...
ის არის ყველგან,
საკუთარი სამარის გარდა...

რასაც ტან ეტყვის...

ვეფეროთ ამ ნერგს, იგი უზადოდ
სამშობლოს ხვალეს უნდა ვუზარდოთ.

ვახაროთ ვაზი, ხვალეს უცილოდ
თუ გვინდა, ხელი რომ გავუნვდინოთ...

ვიყოთ ფესვები იმ ხის, რომელიც
გვალირსებს ნათელს მიუნვდომელის...

შენც იმ სათქმელში უნდა ეწერო,
რასაც ცას ეტყვის მერე კენწერო...

მზე თოხის ტარზე

გამარგლულ ცაზე ღრუბლის ბალახებს,
მოჭრილ ბალახებს მზე დამანახვებს,
მზე – ამოსული უფლის ხნულიდან,
გალვივებული გაზაფხულითა...

ეს ყანა ახალ დღეებს მოგვიტანს
და მათთან ერთად ჩრდილში შევივლით...
მზე თოხის ტარზე დგება, თოხის ტარს
ჩამოჰყრდნობია მზე მთოხნელივით...

ცარიელია როცა თემშარა

ხნულში მარცვალი ვისთვის ჩავყარო,
უკაცრიელმა მიწამ შემშალა...
ცარიელია თითქოს სამყარო,
ცარიელია როცა თემშარა.

ისევ ბალახის დუმილს მოველი,
ფეხის ხმით სმენა კვლავ დამემშა რა...
ცარიელია მთელი სოფელი,
ცარიელია როცა თემშარა.

ამ სიჩუმეში სულიც მადლიან
კათა ფერს ველარ ენათესავა...
თითქოს მიწაშიც არვინ მარხია,
ცარიელია როცა თემშარა.

დღესაც

დღესაც ამ სოფლის დავიდარაბა
გტანჯავს, ამაოდ შუქი ინატრე...
დღესაც დაიცვა ხალხმა ბარაბა,
დღესაც დაიბანს ხელებს პილატე.

დღესაც გაყიდის მოძღვარს იუდა,
ვიღაც ვერცხლს ითვლის ოცდაათამდე;
დღესაც ფიქრი ვერ გაგიციურდა
და შენს სევდაში უნდა გათავდე.

დღესაც მიირთვი პური და ღვინო,
მოინანიე დღესაც ცოდვები,
დღესაც დაეჭვდი, მიწით დაღლილო,
რომ სამოთხეში ველარ მოხვდები.

დღესაც საკუთარ ნუხილს ეტაკე,
ისევ დაანთე რწმენის სანთელი
და ახალ დღეებს ელი, სპეტაკებს,
მთელი სიცოცხლე ღამენათევი.

დღესაც გეჩვენა მოყვრად ვერაგი,
მზერას კვლავ შია ძმობილ-დობილი
და კვლავ გიფარავს ქრისტეს პერანგი,
გოლგოთის ჯვარზე ქარს მინდობილი.

ქალი, ჩემი სიხარულის მიზეზი

დღეს ეს ქალი ისევ ჩემთან დარჩება
და ღამესაც ჩემს მკლავებში გაათევს;
ქალი, მხოლოდ ერთი წამის ავსება,
დამიოკებს თავაშვებულ საათებს.

არ ჩერდება გულში შლამი და ქვიშა
და ჩრდილებიც მზის ელვებმა

დასრისეს...

ქალი, მხოლოდ ერთი წვეთი თაფლისა,
დამიტკბილებს მწარე-მწარე სასმისებს.

აქ გაძლება თურმე არის იოლი
და იმედიც უკვე თავს არ მანებებს;
ქალი, შუქის მხოლოდ ბენო ფიორი,
გამიცოცხლებს ნაოცნებარ ზმანებებს.

დაეფრქვევა სუნთქვა უფაქიზესი
ძველ იარას, მტრის მახვილის
დანაკრავს...

ქალი, ჩემი სიხარულის მიზეზი,
ისევ ამ ჩემს სიხარულზე დამაკლავს.

ამ სამშობლომდე მოვა

სული ბლაოდა, როგორც საკლავი,
უსამშობლობით, ჰოდა,
უცებ გამოჩნდა ერთი ვარსკვლავი,
სამშობლოს ფერი ჰქონდა.

იყო ყაყანი ცრემლის მწონავთა,
რომ არაფერი მიხსნის...

ვარსკვლავიდან კი შუქი ჟონავდა,
ფერით – სამშობლოს სისხლის...

მივხვდი, რომ სწორედ იმ შუქის გამო
ღმერთი ცოდვილსაც მინდობს;
იქნებ ამიტომ ცათა მიდამო
მოჰგავს დიდგორის მინდორს.

თუმცა სავსეა სივრცე სიბნელით,
ის სუნთქვა მაინც მეღტვის
და მარწმუნებს, რომ არ დავიბნევით
სრბოლაში ჟამთა ეტლის.

ალბათ ახდება ის, რაც ვინატრე,
მზე იქნება თუ თოვა,
რომ იმ სამშობლოს შორი სინათლე
ამ სამშობლომდე მოვა.

ის ეგზარხოსი

რუსის ეგზარხოსს სადაც უვლია,
ყველა ტაძარი გაძარცულია...

მონატრებია ისევ წარსული,
ისევ ტაცების უდგას ზარხოში...
ამრიგად, ძმაო, შორს არ წასულა,
კვლავ ცოცხალია ის ეგზარხოსი.

სულ უნდა ვმარგლოთ

ჩვენ პირში წყალი რომ ჩავიგუბოთ,
დავხუჭოთ თვალი, დავიხშოთ ყური,
მაშინ ვიქცევით ნატვრების კუბოდ
და აშმორდება სხეულში სული.

თუ არ ავიღეთ პრიალა თოხი,
არ მივაშურეთ გასამარგლ ყანას, –
ავიხავსდება ოცნების ქოხი
და სუფთა ცაც კი მზეს დაგვიმაღავს.

რათა თვალეებში ჩავხედოთ ამ დღეთ
სიმართლისა და სიკეთის სარგოდ, –
ჩვენივ სინდისის ყანაში ჩავდგეთ,
ჩვენივ სინდისი სულ უნდა ვმარგლოთ.

საგვარეულოს ღირსეულ წარმომადგენელს!



მშობლები: მერი და ბიქტორ შონიები

13 აგვისტოს 70 წელი უსრულდება შონიების საგვარეულოს ერთ-ერთ ღირსეულ წარმომადგენელს, პოეტსა და პუბლიცისტს, საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის აქტის ხელმომწერს ჯემალ ბიქტორის ძე შონიას.

ჯემალ შონია დაიბადა 1947 წელს გალის რაიონის სოფელ საბერიოში. 1964 წელს ოქროს მედალზე დაამთავრა საბერიოს საშუალო სკოლა, 1970 წელს - სოხუმის პედაგოგიური ინსტიტუტის ქართული ენისა და ლიტერატურის ფაკულტეტი.

1971 წლიდან 1990 წლამდე მუშაობდა გალის რაიონულ გაზეთში ლიტმუშაკად, პასუხისმგებელ მდივნად. 1990 წლის 28 ოქტომბერს არჩეულ იქნა საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს დეპუტატად, იყო ადამიანის სამოქალაქო უფლებათა ქვეკომისიის თავმჯდომარე. ეროვნული ხელისუფლების დამხობის შემდეგ იყო საქართველოს ეროვნული დაუმორჩილებლობის კომიტეტის წევრი.

დევნილობის შემდეგ ჯემალ შონია მუშაობდა თბილისში, გაზეთ „იბერია-სპექტრის“ კორესპონდენტად, პასუხისმგებელ მდივნად, გაზეთ „ეროვნული თანხმობის“ პასუხისმგებელ მდივნად, ჟურ-

ნალ „მწერლობა XXI-ის“ პასუხისმგებელ მდივნად. ამჟამად არის საზოგადოებრივ ჟურნალ „მიჯნის“ რედაქტორი.

სამწერლო ასპარეზზე ჯემალ შონია მოსწავლეობის დროიდან გამოჩნდა. დღეისათვის იგი არის რამდენიმე პოეტური კრებულითა და პუბლიცისტური წიგნის ავტორი, გამომცემლობა „ზანის“ ეგიდით გამოსული მრავალი წიგნის რედაქტორი. მისი ლექსები და სხვადასხვა ხასიათის სტატიები სისტემატურად იბეჭდება პერიოდულ პრესაში.

ჯემალ შონია სათავეში ედგა ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობას მშობლიურ რაიონში; აქვეყნებდა აქტუალურ წერილებს აფხაზეთში დემოგრაფიის, ქართული ენის უფლებების დაცვის, ქართული ტოპონიმების, საერთოდ, ისტორიის გაყალბების მცდელობებთან დაკავშირებულ საკითხებზე.

ჯემალ შონია ან განსვენებულ ვახტანგ იასონის ძე შონიასთან ერთად არის შონიების საგვარეულო საზოგადოების შექმნის იდეის ავტორი და ინიციატორი, რომელსაც ხორცი შეესხა 1990 წლის 15 სექტემბერს, როდესაც გალის სტადიონზე გამართულ ყრილობაზე თავი მოიყარა შონიების მრავალმა ათასმა წარმომადგენელმა.

ჯემალ შონიას ჰყავს ორი ქალიშვილი: ხათუნა და თეკლე. ვაჟიშვილი - ბადრი შონია 17 წლის ასაკში დაელუპა 1987 წელს; ის იყო ნიჭიერი, დიდი პერსპექტივების მქონე, უკეთილშობილესი ახალგაზრდა, რომელმაც რამდენიმე ლექსის გამოქვეყნება მოასწრო.

ჯემალ შონიას ჰყავს ორი შვილიშვილი: მეშვიდეკლასელი ბადრი და მეორეკლასელი ბარბარე გაბელიები.

შონიების საგვარეულო კავშირი ულოცავს ჯემალ შონიას იუბილეს და უსურვებს დიდი ხნის სიცოცხლეს, წარმატებებს შემოქმედებით და საზოგადოებრივ საქმიანობაში.

შონიების საგვარეულო კავშირი

შემოქმედებითი ალგავლობით...



გალი, 1990 წლის სექტემბერი. ზვიად გამსახურდიასთან, მერაბ კოსტავასთან და გალელ თანამშრომლებთან ერთად

ცნობილ პოეტსა და საზოგადო მოღვაწეს, უზენაესი საბჭოს დეპუტატს ბატონ ჯემალ შონიას 70 წელი შეუსრულდა. ეს პატივსაცემი თარიღი მნიშვნელოვანია არა მხოლოდ იუბილარისთვის და მისი ოჯახისთვის, არამედ ჩვენთვის, ჯემალ შონიას მეგობრებისთვის და მასთან საქართველოსთვის, რადგანაც, გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ ჯემალ შონიას ცხოვრებისეული კრედო, ქართული სიტყვის მსახურებასთან ერთად, სამშობლოს თავისუფლებისა და კეთილდღეობისთვის ბრძოლა გახლდათ. ზვიადისა და მერაბის იდეების ერთგულება ბიბლიურ რწმენასა-

ვით დაჰყვა მის ურთულეს და მოწამეობრივი ცხოვრების დიდ გზას. ჯემალ შონია იმითაცაა გამორჩეული შემოქმედი, რომ როგორაც წერდა, ისე ცხოვრობდა. მისი სათნო, ტკივილიანი, განცდისმიერი სტრიქონები მისი ცხოვრების ანარეკლების ერთობლიობად წარუდგა მკითხველს. ბატონი ჯემალი არასდროს ყოფილა წარმავალი ყოფიერების ტყვე, ის დღენიადაგ თავისუფლების ძალისხმიერებით არსებობდა და ენათელიანებოდა იმ სივრცესაც, სადაც მოღვაწეობდა და ამბობდა მართალ სიტყვას!

„იბერია-სპექტრი“, „გზა ხსნისა“,

„ეროვნული თანხმობა“, „მწერლობა-XXI“, „მიჯნა“ – ეს ის გაზეთები და ჟურნალებია, რომელთა შექმნასა და არსებობაშიც, რომ იტყვიან, სისხლი აქვს ჩაქცეული ბატონ ჯემალს, სადაც სიმართლისა და ღირსების მრავალღონედ გაიმდინარეს მისმა პუბლიცისტურმა თუ მხატვრულმა ნიმუშებმა.

თავს ნებას მივცემთ და მის მარადიულ ჭრილობას კიდევ ერთხელ გავაღივებთ, მისი უმრწემესი ვაჟის – ბადრის ტრაგიკულად გარდაცვალების მოგონებითა და მწუხარების კიდევ ერთხელ გაზიარებით!

ასევე არანაკლები საგოდებელი გააჩნია ბატონ ჯემალს მშობლიური აფხაზეთის დაკარგვიდან გამომდინარე, რაც მის შემოქმედებაში იდეურად უმთავრეს ადგილს იჭერს და ჭირისუფლის ტკივილით გვესაუბრება.

ახლა კი მთელი გულითა და სიყვარულით ვულოცავთ ჩვენს უსაყვარლეს მეგობარსა და თანამებრძოლს 70 წლის იუბილეს და ვუსურვებთ ყოველივე კარგსა და ამაღლებულს, ბედნიერ ცხოვრებასა და შემექმოდებით აღმავლობებს!..

**ეროვნული მოძრაობის სახელით:
ბურამ ახსანაძე, ნემო ბურჭულაძე**



ლაშა გვასალია

მარადიული, ამოუხსნელი სევდით...

*„ცთების და ცთების, სიკვდილსა ვინ არ მოელის წამისად“.
შოთა რუსთაველი*



ლაშა გვასალია, ჯემალ შონია, მურმან ზაქარაია

70 წლის იუბილეს ვულოცავ ცნობილ პოეტსა და საზოგადო მოღვაწეს, უზენაესი საბჭოს დეპუტატს ბატონ ჯემალ შონიას.

ზვიად გამსახურდია წერდა: „ადამიანში არის რალაც, რასაც ვერაფრით შეცვლი და ესაა ბედისწერა. მე არასდროს მიფიქრია სხვაგვარ ცხოვრებაზე.“ ასე რომ, ყველას თავისი ხვედრი და იღბალი მოსდგამს. ჯემალ შონია კუთვნილი ბედით გახმამაღლებული მოღვაწე და შემოქმედი. მისი გზა უსაზღვრო ტკივილებთან ერთად, სიხარულითაც მრავალგზის გაცისკროვნებული მოედინებოდა ცხოვრების ურთულეს გზაზე და ქმნიდა თავის მოკრძალებულ პორტრეტს, სახეს შემოქმედისას და სახეს მოღვაწისას. რომელი რომელს წინამძღვრობდა, – მრავალთათვის შეიძლება რთული იყოს, მაგრამ ჩემთვის ჯემალ შონია, პირველ ყოვლისა, ცამალალი შემოქმედი – პოეტი, პუბლიცისტი, სტილისტი, მთარგმნელი, რედაქტო-

რი, კორექტორი და ა. შ. ადამიანი, რომელმაც მთელი შეგნებული ცხოვრება ქართულ ლიტერატურასა და სიტყვის მსახურებას შეაღწია. თუმცა, ის გახლავთ ადამიანი, რომელიც თავდაუზოგავად იღვწოდა ეროვნული ხელისუფლების მხარდამხარ. ის გახლდათ ზვიად გამსახურდიას იდეებისა და საქმეების ერთგული, უღალატო ჯარისკაცი საფიცარი ქვეყნისა. იყო უზენაესი საბჭოს წევრი, ადამიანის სამოქალაქო უფლებების ქვეკომისიის თავმჯდომარე, მრავალი სახელმწიფოებრივად მნიშვნელოვანი საქმის აქტიური მონაწილე და მეჭირისუფლე!..

მარადიული, ამოუხსნელი სევდა გასდევს მეგრულ სიმღერას, ისეთი სევდა, უფალს რომ გაგიცოცხლებს და მის ჯვარეკლიან ცხოვრებას რომ დაგიყენებს თვალწინ. მსგავსი სევდისობით მონაღველობს ჯემალ შონიას პოეზიაც. თვით ლირიკულ ნიმუშებშიც ციალებს მარადიული ცრემ-

ლი და კვენესის ანგელოზური დარდი. პირველყოვლისა, ეს მისი უმრწემესი ვაჟის – ბადრის ტრაგიკულად გარდაცვალებით მონადველებული ტკივილია, „ვარადოსავით“ სალ კლდეს თავგამეტებით შელენილი. უფლის ნებით, ბატონი ჯემალი ორი ქალიშვილითა და შვილიშვილებით ემზევა მომავალს, მაგრამ როგორც თავად იტყვის ხოლმე, ბადრის გარდაცვალებით მოვლენილი ტკივილი ყველა სიხარულზე მძიმეცაა და მაღალიც. არიან ადამიანები, რომლებიც მწუხარებისთვის ხდებიან განგებისგან გამეტებულნი, მაგრამ მოხმამაღალე მოტირლებად არ იქცევიან მაინც. ასეთია ჯემალ შონიაც, მიუხედავად უსამანო უბედურებისა, ის სიცოცხლისკენ მლტოლველი შემოქმედია, მისი პოეტური სახება სამშობლოსთან ერთად – სიყვარულია, სიყვარული მთელი მისი სისავსითა და გაგებით. ჭეშმარიტი შემოქმედების საზრისი გონებიდან მომდინარეობს მხოლოდ, რომლის წყაროც მრავალსაუკუნოვანი ხალხური სიბრძნეა – ტრადიციული სამშვიინველითა და კულტურული სიმადლეებით. ჯემალ შონია სწორედ ამ ხალხური სიბრძნის პირმშოა და ღირსების გაიდეალებით უფრო ღრმად იხედება, ვიდრე ეს ერთი შეხედვით პოეტური სტრიქონებისათვისაა საჭირო და აუცილებელი.

ჯემალ შონია მოაზროვნე პოეტია, თამამი სიტყვითა და სათქმელით. მასში მხიბლავს ინტუიციით სვლა და არა უკვე მრავალგზის გათელილი და განაბიჯებული

გზით სიარული, სწორედ ეს ქმნის მის ინდივიდუალიზმს, გამოთეთრებით მთქმელისა და დაგულისგულებული კალმოსნის ხატს.

70 წელი შეუსრულდა აფხაზეთიდან დევნილ, საბედიანოსა და მშობლიურ საბერიოს მოგლეჯილ შემოქმედს, სალოცავ ოხვამეს დანატრულ კოლხს, ვისი სიზმარიცა და ცხადიც ენგურსგალმური ტკივილ-სიხარულით ფეთქავს მის ალალ გულსა და არსში, მის იდენტურ ჭეშმარიტებაში.

მინდა მოვეფერო ბატონ ჯემალს და გულწრფელად ვუთხრა: ის უფრო დიდი და ცამაღალი პოეტია, ვიდრე მას თავისი თავმდაბლობით წარმოუდგენია. ღმერთმა ბედნიერად და წარმატებულად ამყოფოს თავის უსაყვარლეს შვილებთან, შვილიშვილებთან, მეუღლესთან – ქალბატონ კლარასთან, ყველა გულით საყვარელ ადამიანებთან ერთად.

თამაზ ბაძალუას ერთი კარგი ლექსი გამახსენდა, რომელიც ასე სრულდება:

„ყველა ცდუნებას გზა მოვუჭერი,

რომ ჩავიღვარო შენში ვით წვენი,

თუ მხოლოდ ეს ვარ უტყვი ჭურჭელი,

რათა ბოლომდე ავივსო შენით...“ – აივ-

სო უნდა, ჩემო ბატონო ჯემალ, ჩემო უფროსო მეგობარო, სიცოცხლითა და ცხოვრების სიტკბოთი და კიდევ მრავალგზის გაახარო შენი საყვარელი მკითხველები ულამაზესი შემოქმედებითა და შენეული კეთილი, უანგარო საქმეებით!..

მრავალჟამიერ...



რობერტ პიტრიაშვილი

უცვლელი მრწამსით

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს დეპუტატები ჩვენს კოლეგას, ღირსეულ მამულიშვილსა და კარგ მოქალაქეს ჯემალ ბიქტორის ძე შონიას ვულოცავთ დაბადების 70 წლისთავს.

მრგვალი თარიღის აღნიშვნას, მით უმეტეს 70 წელს, განვლილი დიდი გზის, ღირსსახსოვარი დღეებისა და მოვლენების გახსენება და სევდის მომგვრელ ამბებზე დაფიქსირება უფრო გვმართებს, ვიდრე ზეიმი...

ამ ასაკს გადაცდენილი თუ არა, მოახლოებული მაინც უნდა იყო, რომ მთელი სიღრმით იგრძნო და გაიაზრო, რას ნიშნავს, ათასგვარი განსაცდელით პირთამდე სავსე წუთისოფელში შვიდი ათეული წელი იცხოვრო – იცხოვრო ისე, რომ ზეცასთან ნათქვამი ინტიმური სიტყვის ერთგულიც დარჩე და მიწასაც თავისი მიუზღა.

ჯემალ შონია არის პოეტი, პუბლიცისტი, მთარგმნელი... მასთან ქართული სიტყვა ლაღად გრძნობს თავს, რის თაობაზეც არაერთხელ თქმულა და კიდევ მრავალჯერ ითქმება. ჩვენი დღევანდელი მილოცვის საგანი, უპირატესად, არის ჯემალ შონია, როგორც საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს დეპუტატი, რომელსაც წილად ხვდა ბედნიერება, ხელი მოეწერა საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის აქტზე.

სამწუხაროდ, ჩვენს საზოგადოებაში არსებობენ პოლიტიკური ძალები, რომელნიც სხვადასხვა მოტივით ცდილობენ დააკნინონ როგორც საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის მნიშვნელობა, ისე ამ უმნიშვნელოვანესი დოკუმენტის შემოქმედი ეროვნული ხელისუფლების, მისი პარლამენტის, თითოეული დეპუტატის და მოსახლეობის უდიდესი უმრავლესობის ღვაწლი... დამოუკიდებლობას ისედაც მივიღებდითო?!

უზენაეს საბჭოში დეპუტატებად სათანადო გამოცდილებისა და დამსახურების არმქონე პირები იყვნენ მოხვედრილებიო?! ჯერ ერთი, სად იყვნენ „დამსახურების“ მქონე „კომპეტენტური“ ადამიანები? და მეორეც, მოვლენების განვითარებამ ცხადყო, რომ უზენაესი საბჭოს დეპუტატთა აბსოლუტური უმრავლესობა სწორედ ისეთი აღმოჩნდა, როგორც მაშინ განსაცდელში მყოფ ქვეყანას სჭირდებოდა. თუ მაინცდამაინც შემთხვევითობაზე ვილაპარაკებთ, ისეთი „შემთხვევითობა“ იყო, აუცილებლობაში რომ ავლენს თავს... ყოველი მათგანი განვლილი ცხოვრებით, არაერთხელ განეუღლი რისკით, გაბედული არჩევანით, ამ არჩევანის სისწორის რწმენით... და კიდევ, საჭირო დროს, საჭირო ადგილას დგომით აქტიურად ჩაერია საკუთარ ბედისწერაში და, ზოგს რომ შემთხვევითობა ჰგონია, აუცილებლობად აქციეს.

სწორედ ასეთი იყო ჩვენი იუბილარის ბიოგრაფია. ის გზა, რომელიც მან გამოიარა ხალხის რჩეულობამდე და დამოუკიდებლობის აქტზე ხელმოწერამდე, რა თქმა უნდა, ლოგიკური აუცილებლობით არა, მაგრამ დიდი შესაძლებლობით გულისხმობდა დამდგარ შედეგს.

ნათქვამის სისწორეში ადვილად დავრწმუნდებით, თუ თვალს გადავავლებთ „მრგვალი მაგიდიდან“ იმ დეპუტატთა ბიოგრაფიებს, რომელნიც დღეს, სამწუხაროდ, ცოცხლები აღარ არიან, მაგრამ თავისი სიტყვითა და საქმით მარადიულ ანმყოში დამკვიდრეს ბინა:

ნოდარ წულეისკირი, ზაურ ქობალია, ვალტერ შურღაია, არკადი მარკოზია, მუხრან მაჭავარიანი, ბიძინა დანგაძე, ჯემალ გოლეთიანი, მათა თომაძე, ვიქტორ დომუხოვსკი, ნოდარ იმნაძე, ამირან კალაძე, ლია ანდლულაძე, იოსებ კასრაძე, ზაალ კახიანი, აკაკი მათიაშვილი, მიხეილ

მაყაშვილი, ალბერტ მელაძე, იგორ ნარმანია, მერაბ საყვარელიძე, გია ფირცხალეიშვილი, ვიქტორ ფხალაძე, ალექსანდრე ქობულაშვილი, ნათელა ქუთელია, ირაკლი ჩხეიძე, ვახტანგ ჭითავა, გიორგი ხონელიძე, თეიმურაზ ჯანელიძე, ვლადიმერ ჯოლოგუა, შუქრი აბზიანიძე, ბესარიონ ბიბინეიშვილი... ისინი სრულიად განსხვავებული ადამიანები იყვნენ: ტემპერამენტით, უნარებით, განათლებით, პროფესიით, სოციალური მდგომარეობით... სხვადასხვა გზით მოვიდნენ ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობაში და შემდეგ, ზვიადის მეთაურობით, ეროვნულ ხელისუფლებაში, მაგრამ მათ აერთიანებდათ სამშობლოს სიყვარული. ამრიგად, პოლიტიკაში მოვიდნენ და ცხოვრობდნენ, მაქს ვებერის სიტყვებით რომ ვთქვათ, პოლიტიკისათვის და არა პოლიტიკით. იცხოვრო პოლიტიკით – ნიშნავს პოლიტიკა მუდმივი შემოსავლის წყაროდ აქციო: პოლიტიკისათვის კი ის ცხოვრობს, ვინც სიცოცხლის საზრისს ხედავს მასში და ამ მსახურებაში პოვებს საკუთარ თავს და ცხოვრებას.

ჯემალ შონიას პოლიტიკით რომ არ უცხოვრია, იმიტომაა დევნილი პოლიტიკიდან, დევნილი ისტორიიდან... დამატებით – დევნილი ოდაბადედან.

დევნილის სინდრომით, მაგრამ მაინც სამყაროული სიყვარულის გრძნობითა და ღირსებით სავსე მიმტვევებლური ღიმილით, რომლის ფუნდამენტი, როგორც თვითონ ამბობს, მის უცვლელ მრწამსშია: **იყავი მადლიერი კეთილთა მიმართ და კეთილშობილი ბოროტთა მიმართ.** დიდებულია! მაგრამ ეს ზნეობრივი იმპერატივი სამოქმედო პრინციპად რომ გადააქციო, თავი უნდა გამოიწერო და საკუთარ თავთან გამარჯვების ერთი „დიდგორი“ მაინც უნდა გადააგორო.

ღმერთი შეგენიოს და გაგაძლიეროს ამ დაუსრულებელ ჭიდილში. იყავი დღეგრძელი შენს ოჯახთან, სანათესაოსა და სამეგობროსთან ერთად, აგსრულებოდეს შენი ოცნება დაბრუნებისა, დრო-ჟამის გაცოცხლებისა... მონატრებულ სტუმართათვის მონატრებული ჭიშკრის ფართოდ გაღებისა!



ზაურ მოლაშხია

სამოცდაშათე ზეკარი

ნიგნს ჰქვია „ნაუკითხავი“... რამდენ საფიქრალს აღძრავს ჩემში ეს ერთი ჩვეულებრივი სიტყვა. ჯერ ერთი, მართლაც რამდენი არაჩვეულებრივი წიგნი (ლექსი, ნოველა, მოთხრობა, რომანი...) გვრჩება ნაუკითხავი! ერთ-ერთ ხანდაზმულ მწერალს უთქვამს: – თან მიმყვება ნაუკითხავი წიგნების სეკდაო... მეორე, რაც ნაკითხვით, ისიც სწორად თუა ნაკითხული, სწორად თუა გაგებული? რადგან „არის მკითხველი და არის გადამკითხველი“ (გალაკტიონი); იშვიათად, მაგრამ მაინც არის ისეთი მკითხველიც, რომელსაც ისიც კი ესმის, რაც არაა დაწერილი, რაც იგულისხმა ავტორმა და სააშკარაოზე არ გამოითანა.

ყველა დროში, ყველა ქვეყანაში გონიერი მკითხველით განისაზღვრება წიგნის ხანმოკლე თუ ხანგრძლივი სიცოცხლე. უიტმენს უთქვამს: – „დიდი პოეტები თუ გვინდა, კარგი მკითხველიც უნდა გვყავდესო“. რა უბრალოდ და რა ბრწყინვალედ არის ნათქვამი...

დიახ, ახალი წიგნის სახელწოდებაა – „ნაუკითხავი“ – ავტორია ნიჭიერი პოეტი და მოღვაწე **ჯემალ შონია**, რომელსაც ბედისმწერალმა დიდი სიხარულიც არგუნა და, ამავე დროს, დიდი ტკივილებითაც გათანგა მისი გული...

პოეტმა მარად დაუვინყარი სიხარული განიცადა მაშინ, როცა საქართველოს დამოუკიდებლობის აქტს მოაწერა ხელი, როგორც უზენაესი საბჭოს დეპუტატმა...

ჯემალ შონიას დიდი უბედურება დაატყდა თავს, როცა 17 წლის ვაჟიშვილი, ისიც შემოქმედი, ტრაგიკულად დაედუბა. შემდეგ იყო კანონიერი, ეროვნული ხელისუფლების სისხლიანი დამხობა პუტჩის-

ტების მიერ – გარეშე მტრის დახმარებით. რასაც მოჰყვა წინასწარ ავბედითად დაგეგმილი რუსეთ-საქართველოს ომი აფხაზეთისათვის და ორი ერის – აფხაზისა და ქართველის — ტრაგედია...

კოლხურ მინას ასტკივდა ახალი ქრილობები – ახალი საფლავეები!

„თითქოს მდინარეც ჟრჟოლას
ამთავრებს,
ხევში ჩადგება ქარი თუ არა...
შეხედე, ღრუბლის ჩრდილმა საფლავეს
რა ფეხაკრეფით გადაუარა“.

პერსონიფიცირებულ „ღრუბლის ჩრდილსაც“ აქვს იმისი რიდი და მოკრძალება – „ფეხაკრეფით რომ გადაუაროს საფლავეს“ და არ შეაწუხოს სამშობლოს ერთიანობისთვის შეწირულთა სულები.

მტერი კი, მტერი ველურია და ბარბაროსი! მას არა აქვს ადამიანური შინაგანი კულტურა, არა აქვს ელემენტარული პატივისცემა მიცვალებულთა მარადიული საუფლოსადმი.

„მაგრამ დღეს დრო-ჟამმა სასჯელად
დამმართა,
მეტყოდეს იმისი ქარი თუ მტვერი:
გლოვობდე, მწუხარე, რომ შენთა
პაპათა
საფლავეზე ღიღინით მიმოდის მტერი!“

აი, სანამდე დაეცა ადამის მოდგმა! უფრო სწორად, კაენის მოდგმა! „საფლავეზე რომ ღიღინით მიმოდის“... მაგრამ არაფერი რჩება განუკითხავი! ერთ დროს ყველაფერს თავისი სახელი დაერქმევა საქ-

ვეყნოდ. რადგან „აღუბეჭდავი არ დარჩა კვალი, ოდნავი სუნთქვაც აღბეჭდილია“.

„ნაუკითხავი“ – ეს სიტყვა უკვე მერამდენედ ვახსენე, მოდით, ამ სათაურის ლექსიც წავიკითხოთ.

„კაცი ჭიშკარს რომ მოადგება,
რომ დამიძახებს
და კეთილ ამბებს შემატყობინებს, –
ის მენატრება,
მერე სახლში რომ შემოვიყვან,
ჭიქას ავუვსებ
და გავიხსენებთ უამრავ ვინმეს, –
ის მენატრება...“

ალარც კაცია, არც კეთილი ამბები
მესმის,
ალარც სახლი მაქვს, ალარც ჭიშკარი...
მომჩერებია ჩემნაირად დევნილი ლექსი,
ისიც ჩემსავით ნაუკითხავი“.

„ნაუკითხავი“, ამ სიტყვას რამდენიმე მნიშვნელობა აქვს ჩემთვის. ერთ-ერთი ასეთია: ნაუკითხავი ერთგვარად „განუკითხავიც“ არის, ანუ დაუფასებელიც, შეუფასებელიც! „მომჩერებია ჩემნაირად დევნილი ლექსი, ისიც ჩემსავით ნაუკითხავი“, გულახდილად უნდა ითქვას: ჯემალ შონიას შემოქმედება (სხვა რომ არაფერი, მისი ორტომეული, 2007 წ. „ზანის“ მიერ დაბეჭდილი, რედაქტორ-გამომცემელი **მურმან ზაქარაია**) დღემდე არაა ჯეროვნად შეფასებულიც და დაფასებულიც. მხოლოდ ვინრო წრემ თუ იცის ჯემალ შონია, როგორც ნათელი, უშურველი და ერთგული პიროვნება და მისი შესანიშნავი, ღრმა და გულისმიერი პოეზია. თვითონ ჯემალი არ ეკუთვნის „ხმაურიან“ პოეტთა კასტას. აკი თვითონაც წერს: „მე ისე ვცხოვრობ, რომ სიცოცხლეშიც აღარ უწყიან, ვცხოვრობ თუ არა“.

დღეს, სამწუხაროდ, ისეთი ე.წ. ლექსებს უწევენ პოპულარიზაციას, რომლებიც მკითხველში უარყოფით ემოციებს, უფრო მეტიც, ზიზლსაც კი იწვევს. ხანდახან მგონია, რომ ეს შემთხვევით კი არა, მიზანმიმართულად ხდება. მაგრამ, როგორც პოეტი ამბობს: „დადგება ჟამი და ჩვენ ყველას გაგვამჟღავნებენ და იხილავენ უამრავი თეთრის სიჭრელეს“.

* * *

ჯემალ შონიას ლექსები გამოირჩევა დახვეწილი პოეტური ტექნიკით, ოსტატობითა და ინტონაციურ-მელოდიური მრავალფეროვნებით, მხატვრული სახეებითა თუ მეტაფორებით.

არცთუ იშვიათად, პოეტს ემარჯვება ორიგინალური რითმები, რთულიც და მარტივიც, კონსონანსურიც და დისონანსურიც. ჯ. შონიასთვის უცხო არ არის ჰიპერბოლაც, როგორც ტროპის სახე და მხატვრული გამოსახვის სტილისტიკური ხერხი.

„მივსდევ სურვილთა მაცდურ
ზეფირებს
და ეს მდინარეც შენკენ დავძარი...
თვით ენგურსაც კი დააწყებინებს
დუღილს მაგ შენი ტანის ხანძარი“.

სანამ შემოქმედს ასეთი ხილვები აქვს, სანამ არ გამოლევია პოეტური „საწვავი“, მანამ წელთა სიმრავლეს ვერ დაემდურება და არც დაეჩაგვრინება მას.

რა გასაჭირშიც უნდა იყოს შემოქმედი, მაინც გარშემო იმედის მარცვლებს უნდა თესავდეს. მშვენივრად ამბობს პოეტი: „მაგრამ მე თუ არ ვახარე თესლი, ყანად ვინ მიქცევს ისევ ნაყანევს?“ და, რაც მთავარია, „თუ თვითონ მე არ დავანთე კერა,

სახლად ვინ მიქცევს ამდენ ნასახლარს?“

„მე უნდა შემძრან ღამის ელდებმა,
მეც უნდა მწვავდეს ბედის იარა;
მარცვალნი როგორ აღმოცენდება,
თუ მიწის ბნელი არ გაიარა“.

ჯოჯოხეთის ბნელი სკნელი საკმაოდ
გაიარა იმ მარცვალმა და სასოებით უნდა
ველოდეთ მის აღმოცენებას და დათავთა-
ვებას.

ძმაო ჯემალ! გილოცავ ცხოვრების სა-

მოცდამეთე ზეკარზე წელგამართულად
და ღირსეულად შედგომას. ჩუმად გეტ-
ყვი: წელიწადზე მეტია, მეც გადავლახე
ის უღელტეხილი და, ღვთის შემწეობით,
საშიში არაფერია. ისევ სიმხნევით უნდა
გავიხედოთ წინ და გვირაბის ბოლოს აუ-

ცილებლად აინთება ის ნანატრი სინათლე!
დაბოლოს, ამ მცირე წერილს ჩვენი
გენიალური პოეტის სტრიქონით დავამ-
თავრებ: „რომე მწადდეს, ვერ დავწერენ მე
სიტყვანი ნათალნი“.



ბიორბი სიჭინავა

ჯემალ შონიას

(ექსპრომტი)

დრო მედინი ისეთია,
არასოდეს იცის დალლა,
შენ სიკეთე გითესია
და მის ნაყოფს იმკი ახლა.

მოდოდი და გზა ძნელი
ვერაგულად გცდიდა დიდხანს,
ყველა ტკივილს გაუძელი
რწმენითა და იმედითა.

აფხაზებიც შენებია,
გულში ცუდს ვით გაივლებდი,
სული დაგიმშვენებია
პოეზიის ყვავილებით.

თასი ღვინით ამივსია
და მეგრულად გეტყვი ძინას,
თავად არის პოეზია
შენისთანა კაცის რინა.

დრო მედინი ისეთია,
არასოდეს იცის დალლა,
შენ სიკეთე გითესია
და მის ნაყოფს იმკი ახლა.

მურმან ზაქარაია

პეშვით დაღეული პოეზიის სული



მარცხნიდან: რეზო ურუშაძე, მურმან ზაქარაია, ვანო ტურაშვილი, ჯემალ შონია

ქართულ სალიტერატურო შემოქმედებაში, სადაც პოეტური ხელოვნების საზრისად, რუსთაველის მაქსიმიდან გამომდინარე, უზენაეს იდეალად სიბრძნეა გაცხადებული, პოეტური გენიალობის სანიშნედ და ეროვნული პოეზიისთვის გეზის მიმცემებად სამარადჟამოდ დადგენილია: რუსთაველი და დავით გურამიშვილი, აკაკი და ვაჟა, გალაკტიონი თუ გრანელი.... ხოლო ყოვლის შემკრებ-შემაჯამებლად – ნმინდა ილია მართალი. რთულია მოიპოვო მაღალი ხარისხი ნამდვილი პოეტისა, მისი ძნელად დასარღვევი იმუნიტეტით; ეს მათი ხვედრია, ვისაც ღვთის ნყალობით ებოძა დიდი შემოქმედებითი ნიჭი და უაღრესად ადამიანური ზნეკეთილობა.

უფლისგან რჩეულთა ამ მცირე კატეგორიას განეკუთვნება ჩვენი იუბილარი – ნაღდი პოეტი (სხვა შეფასება მის მიმართ არ გამიგია) და საზოგადო მოღვაწე საქართველოს უზენაესი საბჭოს წევრი, დამოუკიდებლობის აღდგენის მარადიული აქტის ხელმომწერი, პასუხისმგებლობითა და ადამიანური ღირსებით აღსავსე პოეტი ჯემალ შონია, კაცი, რომელიც წყლის ნაცვლად პოეზიის სულსა სვამს:

„როს შენი პეშვი სიცოცხლეს მასმევს და მაინც მთანგავს წყურვილი კრული, უფალი მაშინ მიპოვის საშველს: წყლის ნაცვლად უნდა დავლიო სული“.
(„წყლის ნაცვლად“)

ჯემალ შონიას შემოქმედებაში სრულყოფილი ოსტატობითაა წარმოჩენილი სულიერი მიზანსწრაფულობა; მაღალი პოეტური ტექნიკით ჩამოქნილ-ჩამოძერწილია ნააზრევ-ნაფიქრი. პოეტის ყველა სტრიქონსა და სტროფში იკვეთება შემოქმედებითი აზრის დაძაბულობა, რომელიც ქმნადობის პროცესში აღწევს პოეტური სახეებით აზროვნების უმაღლეს გამომხატველობას და ესთეტიკური სრულყოფილების მაღალ ხარისხს. აქ ჩანს პოეტის მიერ პეშვით დაღეული პოეზიის სული. ამ სულიერებით აღწევს პოეტი უმაღლეს მწვერვალს ჭეშმარიტებისას, სადაც ფეხის შედგმა სწორედ რომ ადამიანურ სულზე მოფიქრალი სულითაა შესაძლებელი, სული, რომელზეც პოლ ვალერი გალობით იტყვის: ჩემი სული ფიქრობს ჩემს სულზე... და ჩემი ხორცი არის იდეაო (პოლ ვალერი, სულის კრიზისი, გვ. 39-40). პოეტის არსებაში სინდისის ყანად ქცეულა და მუდმივად მოითხოვს ყურთაგდებას. წინააღმდეგ შემთხვევაში,

თუკი პირში წყალი ჩაიგუბე, ყველაფერზე დახუჭე თვალი და დაიხმე ყური,

„მაშინ ვიქცევით ნატვრების კუბოდ და აშმორდება სხეულში სული“.

(„სულ უნდა ვმარგლოთ“)

ამაზე მეტი რა უნდა უთხრას პოეტმა იმ ხალხს, ვისთვისაც ეს ცხოვრება მოქცეულია მატერიაში და არაფერს ნიშნავს სული, გონება, ინდივიდუალობა, აზრის სულყოფილება და ა. შ. ყოველივე ის, რაც ადამიანის სიცოცხლეს საზრისს აძლევს. ეს ტიპი „ჰომოსისა“, დარჩენილი „საპინსის“ გარეშე, „იმედის“, „ოცნების“, ნატვრის მირაჟებს გამოკიდებული, არ ეკარება „გასამარგლ ყანას“ და ახავსებია „ოცნების ქოხი“, ისიც ნაგები მტრის დაკვეთით. ამიტომაცაა, რომ „სუფთა ცაც კი მზეს დაგვიმალავს“. მაგრამ ეს არაა პესიმიზმის ამოკვნესა, პოეტი იქვე იძლევა უებარ წამალს ღირსებაგაუხურდავებელ ადამიანთათვის:

„რათა თვალეებში ჩავხედოთ ამ დღეთ სიმართლისა და სიკეთის სარგოდ, – ჩვენზე სინდისის ყანაში ჩავდგეთ, ჩვენზე სინდისი სულ უნდა ვმარგლოთ“.

(იქვე)

შემოგვრჩა კი გასამარგლი სინდისი მაინც? – აი, რა არის დღეს საკითხავი.

პოეტი გონის უხილავი ხვეულებიდან მომდინარე მგრძნობელობით დაძლევს მინიერ მიზიდულობას და წმინდა სულიერი ენერგეტიკით ეხმიანება ზეციურს და აგებს სრულფასოვან პოეტურ სამყაროს. მის პოეტიკას ფესვები გადგმული აქვს კოლხ-იბერიული მოდგმის უძველეს მეტაისტორიულ და მეტაფიზიკურ შრეებში და სტიმულს აძლევს სასიცოცხლოდ აუცილებელი შიდა ძალების წარმოჩენას. ამ გზით იგი ახდენს არა მარტო ადამიანური ცივილიზაციის ტოლ-სწორი მისივე ისტორიის ფიქსაციას, არამედ ეძებს იმას, რაც დამარხულ არს მასში და წარმოადგენს „გარკვეული

მომავლის კონსერვაციას“ (პოლ ვალერი). ამ გზით პოეტი აღწევს ცოცხალი ბუნებისა და ადამიანური სულის მეტაფიზიკური ერთიანობის მაღალ უნივერსალურ კონტექსტში ასახვას.

პოეტი ლექსში „ვით მზე და მთვარე“ ამოსავლად იღებს კოლხური სუფრის, ალბათ, ერთ-ერთ პირველ სადღეგრძელოთაგანს, მიძღვნილს ცოლ-ქმრის ოჯახური თანაცხოვრებისადმი; ე. ი. მას ფესვები გადგმული აქვს მონოგამიური ოჯახის ფორმირების პირველ ეტაპებში. სადღეგრძელო დღევანდელ დღეს ასე ითქმის: „ბუა დო თუთაცალო ქიმერჩინუდათ ართიანს“ („მზე და მთვარესავით შეაბერდით ერთმანეთს“), პოეტი მთელი სისრულით წარმოაჩენს იმ შინაგან შესაბამისობას, რომელიც ასახავს ადამიანური და ემპირიული სამყაროს უხილავ ერთიანობას, რომელიც სასწაულებრივ ხორციელდება და სრულყოფილად აისახება ერის მრავალასპექტიან იდეაში, მის უსასრულო, მზე და მთვარესავით უბერებელ მომავალში:

„ყოველი დილით ახალი მზით ივსება სივრცე, ახალ მთვარესაც მისი მაღლით ელის გავსება... ერთმანეთისთვის ვლოცულობთ და უფალი გვისმენს და ძველი ნატვრა ახალთახალ ცას ემსგავსება. ხვალ განახლდება ჩვენი დარდი და სიხალისე, დავწნავთ იების კონასავით ახალ იმედებს... ვით მზე და მთვარე, შევაბერდეთ ერთმანეთს ისე, რომ მზე და მთვარე არასოდეს არ დაგვიბერდეს“.

(„ვით მზე და მთვარე“)

ამგვარად, პოეტი ოჯახური ცხოვრების თავურსაზრისის მომცველ ამ უძველეს

მეტაფიზიკურ სიბრძნეს – თქმულს ოხვამერად (სადღეგრძელოდ) ეგზომ მძაფრი სიცოცხლისუნარიანობით რომ გამოირჩევა, წარმოაჩენს ეროვნული არსებობის, თვითთავადობის და საზოგადოებრივი ცხოვრების სიმბოლოდ. ლექსში მთელი სისავსითაა გამოკვეთილი სიყვარულისა და თავისუფლების მარადიული იდეა, როგორც სამყაროს სულის გამოძახილი.

მისი პოეტური სამყარო რეპროდუცირდება, როგორც პოლ ვალერი იტყვის, მდიდრდება ყველაზე ძველი, შესაძლოა ყველაზე კეთილშობილური და თანაც ყველაზე ძნელად დასაურევბელი სტიქიით – ენით, რომლის სინმინდისა და ღრმა შემოქმედებითი ძალის უზადო მცოდნე და ფხიზელი დარაჯიცაა იგი. მის ხელში ენა მთელი სისრულით ავლენს მთელ თავის შესაძლებლობებს (უნარს), იყოს ზღვარდაუდებელი დიადი იდეების მატარებელი. რომლის მემვეობითაც ეროვნული ენერგია ქმნის მგრძნობელობით ერთობას ხალხისას, აღვიძებს მის თვითშემეცნებას. სიტყვა იქცევა ჩვენი სულიერების ობიექტურ შემადგენლად, რომელიც ავსებულობა შინაგანი შემოქმედებითი ენერგიით და წარმართავს პოეტის სიტყვის მანარმოებელ აქტს და, როგორც ზემოთ მოყვანილ ტექსტში ვნახეთ, ჩვენს სულში გადმოაქვს რალაცნაირი განუსაზღვრელი ელემენტები ბუნებისა და წარმოაჩენს მას მთელი თავისი არსით ჩვენს ყოფაში.

სიტყვაში ჩატეულია მთელი სამყარო.

„კვლავ აჰყურებენ მთები ვნებიან ცას, უერთდება ლაჟვარდს დროება; თავიანთ ქვებზე კლდენი დგებიან, რომ შეძლონ ცასთან მიახლოება“.

(„მთები ზეცაში იკარგებიან“)

ენის მეტაფიზიკის არსში პოეტური ნვდომა ათავისუფლებს მას ზედმეტი ხელოვნურობისა და სიტყვათქმნადობისაგან. **სიტყვა** მის პოეზიაში სრულად შეესაბამება ენის ფილოსოფიასა და კლასიკურად ჩა-

მოყალიბებულ იდეას მშობლიური ენისას, რასაც კი შეიძლება ჩვენი გენეტიკური პირველკოდისან მომდინარე გონება ჩასწვდეს.

მისი პოეტური სული თან ატარებს პირველქმნადობის გონჩაუნვდომელ ერთობას სულისა და ხორცისას, რომელიც ენის ნიაღშია მოქცეული და პოეტურად ამეტყველებული.

„მინიერ ტალახთ და ზეციურ, შორ სიანკარეთ ტკივილიცა და სიხარულიც უნდა უჩვენო...“

ჩვენაც შევცვალებთ ეს სამყარო უბრალო რამით – ჩვენი გაჩენით, თორემ იყო იგი უჩვენო“.

(„ალარ იქნება“)

ასე აღწევს პოეტი მორალურ სინმინდეს, ზნეობრივ სისავსეს და უმაღლეს ასახულობას ადამიანურ კეთილმყოფელობით აქტში, დაბადების დღიდან გარდაცვალება-გარდასახვის დღემდე რომ უნდა ატაროს ამ მინიერი ტალახისა და ზეციური, შთაბერილი სულის მატარებელმა, გონებითა და ღირსებით გამორჩეულმა პიროვნებამ:

„გაჩენის დღიდან სიკვდილის დღემდე მუდამ თავისი აღმართით მავალ და ჯვარის მზიდველ კაცს უნდა შეხვდე მადლობისათვის ასერიგ მრავალ“...

(„მადლობისათვის“)

ამ გზით ის გადის ბუნებრივი ინსტიქტის გამგებლობიდან შემორჩენილი მგრძნობელობის ჩარჩოებიდან, მაგრამ არც გონების იმ მაცდუნებელ მაღალფარდოვნებას ემორჩილება, რომელიც ამქვეყნიური ბედნიერების და კმაყოფილების ილუზიებით გვბანგავს. ამიტომ ისმის გამაფრთხილებელი ძახილი სულისა:

„ისევ რისხვის სამრეკლოდან ვრეკავთ, შევაჩვიოთ უნდა თავი ეკალთ, თავები კი, შეჩვეული დაფნათ დავინყების ველზე უნდა დავფლათ“.

(„სამსჯავროს წინ“)

ეს კი მოითხოვს ქრისტესავით ცხოვრებას:

„ჩვენ არასდროს არ ვიქცევით ქრისტედ, ქრისტესავით ცხოვრება კი გვმართებს. („სამსჯავროს წინ“)

ამდენად, მის შემოქმედებაში წარმმართველია „ადამიანური არსებობის სხვაგვარი და ბევრად უფრო ღირსეული მიზნის იდეა“ (კანტი), ვიდრე რაგინდარა ფასად მიღწეული სიამტკობილობანი, ის კი არა, როცა მუსიკას ისმენ, უნდა გახსოვდეს ლერწმის ტკივილი:

„ჰა, სალამური მღერის და მღერის და არავის ახსოვს ტკივილი ლერწმის“.

ეს ტკივილი, რომელიც „არავის ახსოვს“, პოეტისაა.

ასეთია ჯემალ შონიას პიროვნული – მაღალი ადამიანური მოთხოვნილებები. მისთვის მორალი და ზნეობა განყენებულ ცნებები კი არაა, არამედ მუდამ თანსაქონი და საიმედო განძია, რომელიც გზას უხსნიდა ადამიანის ნებას და აძლევს ძალას, ამოქმედოს ეს ზნეობრივი კანონები და აკეთოს სიკეთე კაცთათვის. ამისთვის ერთი სიცოცხლეც არ კმარა, ის მარადიულობის შეგრძნებით ცხოვრებას მოითხოვს, რაც მიიღწევა ზომიერებით, საღი ანონ-დანონის უნარით, აფექტებისა და ვნებების გონიერების ფარგლებში მოთოკვით და ა. შ. ყოველივე ამის ჩვენივე შინაგანი ღირსების ატრიბუტად გააზრებით. ამიტომ გვაფრთხილებს პოეტი, გვერიდებოდეს სულის სიშიშვლის და მუდამ მზად უნდა ვიყოთ უფლის წინაშე წარდგომისათვის:

„გერიდებოდეს სულის სიშიშვლის, რომ სინანულმა გიხსნას ამგვარად... უფლის წინაშე ანგარიშისთვის ჩვენი სიკვდილი სულაც არ კმარა“.

(„უფლის წინაშე ანგარიშისთვის“)

რადგან სიცოცხლით ვქმნით იმას, რაც გვაახლოებს ქვეყნარტებასთან, ის კი მო-

ითხოვს: „...უმალღესი პირობა, უმეტესწილად წინ უნდა დავაყენოთ ადამიანის კერძო მიზნებთან შედარებით“ (კანტი) და ამიტომ „უფლის წინაშე ანგარიშისთვის ჩვენი სიცოცხლე არის საჭირო“ (იქვე).

ტერენტი გრანელის თქმისა არ იყოს, „სული საზღვარს გადასცდება ფრენით“ – მისი პოეზიის სულიც ჩარჩოებს ვერ ჰგუობს და ერთ მთლიანობაში კრავს ზეციურ უსასრულობას და მიწიერ საზღვრულობას. ცხოვრების საზრისის ძიებაში მაღალი პოეტური ოსტატობით უძებნის ადგილს ადამიანს თავის კუთვნილ ადგილს ამ სამყაროში და აშორებს მას კასერერის იოლი გააზრების მიკერებულ ეპითეტს „სამყაროში მიკარგული ადამიანისა“:

„ღიახ, ცრემლები ზეცაში წავლენ, ცრემლები – მინას დანაპკურები, ისევ მოიხმო მზის სიკამკამემ ამმინიერი შენი ურვები“.

(„ზეცაში წავლენ“)

ასე, კალმის ერთი მოსმით პოეტის სულის ძახილმა ქარს გაატანა კასერერის მთელი ფილოსოფია და ადამიანი დააბრუნა იმ ჩვეულ სივრცეში, სადაც მას ადგილი მიუჩინა თანამედროვე ცივილიზაციის შემოქმედმა ელინურმა გონებამ, რომელსაც იზიდავდა შეუცნობადი სიღრმეები ადამიანთა სულიერებისა და დაფარული ჰარმონია სამყაროსი. პოეტმა გააცოცხლა რაციონალიზმით მოკლული ადამიანი და შეახსენა, რომ ადამიანი არის საზომი ყოველი საგნისა (არსებულისა).

ჯემალ შონიას ლირიკა თითქოსდა უწყვეტად შესისხლხორცება ამ ჟანრის (საერთოდ, ყოველივე ცივილურისა და გონისმიერის) შემოქმედთ. როგორც ანაქსაგორი იტყოდა: ადამიანის ამქვეყნად მოვლინება თუნდაც იმად ღირს, რომ „დააკვირდეს ცას და მასზე ვარსკვლავებს, მზესა და მთვარეს“. ასევე მის ლირიკაში „ყველაფერი ყველაფერშია“, მათში მთელი სამყაროა მოქცეული, მისი გონმიუნვდომელი და

უსაზღვრო სივრცეები, აღვსებული მზიური სიკასკასით, მარადმჟღერი მუსიკალობით, ფერებითა და გაზაფხულის სურნელებით, მოქმედებაში მოჰყავს პოეზიის სულს.

„უნდა ვიდგე და ლამეს ვთიბავდე, რალა თქმა უნდა, მხოლოდ დილამდე. უნდა ვიდგე და სხივებს ვკონავდე, რალა თქმა უნდა, ცის შეკრთომამდე... გზას სიმწრის ქვებით უნდა

ვკირწყლავდე, რალა თქმა უნდა, შენთან მისვლამდე“. („რალა თქმა უნდა“)

ამაშია მისი ლირიკის ხიბლი. მას აქვს ცოცხალი დროის შეგრძნება ისე, რომ მშობლიური მსოფლიურში გამოაფხიზლოს. ამ თვალსაზრისით მისი ლირიზმი მაგიურ მსოფლალქმასთანაა დაკავშირებული და ამ ჟანრისთვის სახელის მიმცემი ლირის მუსიკალური ჟღერადობითაა გამსჭვალული. ამიტომ, თამამად შეიძლება ითქვას, მისი ლირიკა ეპოსის სულთანაა ზიარებული.

„ცაში გაფრენას არ გაპატიებს კაცი, სულ მიწის ჭიპზე მიბმული.

.....
და მან არ იცის, მაცოცხლებელი ნამივით ციდან რომ ხარ მოსული.

.....
მიწაზე დაბმულს რა ეშველება, თუ ვინმე ცაში აღარ გაფრინდა“.

ასეთი ამაღლებული მგრძნობელობითაა გაჯერებული მისი ლირიკა, მის ღრმად-მეტყველი პოეტური სული უფრო დიდს და გრანდიოზულს მოსთხოვს პოეტს, სან-ბოვეს თქმისა არ იყოს, ისეთს, რომელიც „უფრო მეტად გაუძლებდნენ დროის დინებას“ – ეპოსს. ამიტომ, გვჯერა, რომ მითოსის სულთან და ისტორიულობასთან ეს ზიარება თავის ნაყოფს გამოიღებს და პოეტი ამ გონდინჯობის ჟამს გვაზიარებს ღრმა სიუჟეტიან ისტორიულ პოემას საბედიანოზე, როგორც თანამედროვე ქართული სახელმწიფოებრიობის საფუძველზე.



ბია სუბუა

ხაუჭრელი კაცი და პოეტი

ადამიანებთან ურთიერთობისას საკმაოდ დელიკატური ვარ, მათი შეფასებისას – საკმაოდ ფრთხილი და კომპრომისული. წუთისოფელში ბევრი საცთურია ადამიანისთვის, ამის გათვალისწინებით მიმტევებელიც ვარ, შემოძლია რალაც ზღვრამდე გაგებით მოვეკიდო გარშემო მყოფთა ადამიანურ სისუსტეებს. იშვიათად, მაგრამ ცხოვრებაში შემხვედრიან პიროვნებები, რომლებიც იმდენად სპეტაკნი, კრისტალურნი, ნაღდნი არიან, რომ გამორიცხულია რაიმეში ჩაიჭრნენ და კომპრომისის საჭიროებაც თავისთავად გამოირიცხება. დიახ, საბედნიეროდ, არიან ასეთი ადამიანები და მათ რიცხვს უდავოდ განეკუთვნება ბატონი ჯემალ შონია.

ჯერ კიდევ იმ დროიდან ვკითხულობდი მის ლექსებს, როცა იგი გალის რაიონულ გაზეთში მუშაობდა. უფრო ღრმად მისი პოეზიით მას შემდეგ დავინტერესდი, როცა 2007 წელს ორი საკმაოდ მოცულობითი კრებული გამოსცა. ჯემალ შონია დიდებული პოეტია, ლექსის ნამდვილი ოსტატი. ფორმის თვალსაზრისით იგი ნაკლებად მიმართავს სიახლეებს, იშვიათად წერს თავისუფალ ლექსს, მაგრამ წარმატებით აგრძელებს და ავითარებს ქართული კლასიკური პოეზიის ტრადიციებს. მის ლექსებში ყოველთვის მკაფიოდაა გამოხატული ის შეგრძნება, რამაც მისცა იმპულსი ლექსის დასაწერად, ყოველთვის მკაფიოდაა გამოქანდაკებული პოეტური სათქმელი, რომელიც მხოლოდ მისეულია. ალბათ ამიტომ დამებადა აზრი, რომ ლექსების ერთ ნაწილს სათაური არც სჭირდება. რა თქმა უნდა, ჯემალ შონიას ბევრი ისეთი ლექსიცა აქვს, სადაც მშვენივრად გარითმულ სტრიქონებს შორის მიჩქმალულია ფრიად საინტერესო ხედვა და ქვეტექსტები, რომელთა აღსაქმელად

მკითხველს დაკვირვება მართებს.

სამოცდაათი წელიწადი ამ წუთისოფელში ცოტა არაა, მაგრამ პოეტის შეგრძნებები და ხილვები იმდენად ცინცხალია, არითმეტიკული ასაკი მნიშვნელობას კარგავს.

„სადა ხარ, ცვარო, დამანახვე
შენი სივრცენი
და გამახსენე დრო, ბალახში
რომ ვციმციმებდით...“

იმდენად უშუალოა და გულიდან ამოსული ეს წამოძახილი, ეს მიმართვა ცვრისადმი, რომ აშკარაა, ჯემალ შონიას არაფრის გახსენება არ სჭირდება, იგი ისევე იმ დროის მკვიდრია, როცა ბედნიერი ბავშვობის დღეებში ცვართან ერთად ციმციმებდა ლორთქო ბალახში.

პოეტისა და სამშობლოს ბედი განუყოფელია. ისეთი სულის პოეტი, როგორიც ჯემალ შონიაა, შეუძლებელია მთელი სიმძაფრით არ განიცდიდეს სამშობლოს უბედობას, მტრის მიერ მიტაცებულ მამულს, თანამემამულეთა საწუხარსა და ტკივილებს. უდავოდ, გულზე მოგხვდებათ პოეტის მშვენიერი ბალადა „ყვავილები იყიდე!“ საკუთარ სამშობლოში ლტოლვილად ქცეული „სევდით თმადათოვლილი“ ქალი, შვილმოკლული დედა, მთანმინდაზე ყვავილებს კრეფს და ლამაზი თაიგულების ქუჩაში გაყიდვით ცდილობს ირჩინოს თავი.

„შენც შეჩერდი, მიეახლე,
ყვავილები იყიდე,
მხოლოდ ესლა არის ახლა
მთელი მისი სიმდიდრე.

.

დღეს ეს კონა – ზეცისფერი
თუ ქათქათა სრულიად -
მისთვის არის ბედისწერა,
შენთვის თაიგულია.“

პოეტი მოუწოდებს გამვლელ-გამოვ-

ლელს, იყიდონ ქალისგან ყვავილები. მას მშვენივრად ესმის, რომ თუ სამშობლოს უბედობის გამო კერადაკარგული ქალისადმი საზოგადოება გულგრილი იქნება, ასე ქვეყანას არ ეშველება; რომ მხოლოდ ერთმანეთის ჭირის გაზიარება და თანადგომა გადაგვარჩენს.

ახლახან ჯემალ შონიამ გამოსცა ახალი პოეტური კრებული ფრიად ორიგინალური სათაურით: „ნაუკითხავი“. გამომცემლობა „საუნჯეში“ შემთხვევით ნაგანყდი და თვალი გადავავლე ამ მშვენიერ წიგნს (ვიცი, მალე ავტოგრაფით მივიღებ) და დავრწმუნდი, რომ პოეტს შემოქმედებითი ენერგია კვლავ ჭარბადაა აქვს მომადლებული, რაც ცხოვრებისეულ გამოცდილებასთან ერთად ახალი წარმატებების საწინდარია.

მახსენდება ლექსი „ღრუბელი“, ნადვილი პოეტური შედევი, რომელშიც წუთისოფლის რაობა და შემდგომ პოეტის „ზეცის წყურვილით“ ღრუბელთან შერთვა ფილოსოფიურადაა გააზრებული.

„რალა ვქნათ? – ისევ ლექსები ვწეროთ და გულიც ნაღველს ვერ ჩაიგუბებს, მერე კი გავყვეთ გადამფრენ წეროთ და შევაფაროთ ჩვენც თავი ღრუბელს.“

სულ იშრიალებს ქათქათა ფარჩა, ნედლი სურვილით ცა დაასველებს და თუ მიწაზე რამ ნატვრა დაგვრჩა, ხანდახან მასაც დააყრის ცრემლებს.“

დაახლოებით ოცდაათი წელი იქნება, რაც ჯემალ შონიასთან მეგობრული ურთიერთობა მაკავშირებს. კარგად მახსოვს 50 წლის ჯემალი, 60 წლის ჯემალი და ახლა, როცა მას 70 წლის მიწნაზე ვხედავ, აშკარად ვამჩნევ, რომ იგი „არ სდევს ჟამთა ცვლას“ და თითქმის არ შეცვლილა. ეს სულაც არ არის გასაკვირი, უფალმა ხომ სამოთხიდან განდევნილ ადამიანში დედამიწაზე ცხოვრების 120 წლის რესურსი ჩადო. მე ვუსურვებ ჯემალ შონიას მშვენიერი ლექსების წერაში ბოლომდე დაეხარჯოს უფლის მიერ ნაბოძები ეს რესურსი.



ირინე ტალიაშვილი

მამულიშვილის მძიმე ტვირთი



საინტერესო ფაქტია, რომ საქართველოს პირველი პრეზიდენტის მომხრე პარტიულ მოღვაწეებს და უზენაესი საბჭოს დეპუტატებს არასოდეს პო-

ლიტიკოსებს არ უწოდებდნენ, არ თვლიდნენ პოლიტიკოსებად ეროვნული ხელსუფლების მოწინააღმდეგეები და ოპონენტები, თუმცა არც არის გასაკვირი, რადგან ზოგიერთებს, არამცთუ დეპუტატებს, ზვიად გამსახურდიას პოლიტიკოსად აღიარებაც კი უჭირთ დღემდე.

მიზეზი იოლი ასახსნელია. პოლიტიკური ასპარეზი მავანთათვის მუდამ კარიერის, საკუთარი კეთილდღეობის და პირადი ინტერესებისათვის გამოსაყენებელი არენაა, ზვიად გამსახურდიასა და მისი მომხრეებისათვის კი პოლიტიკური მოღვაწეობა მხოლოდ სამშობლოს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში გამოიხატებოდა. უზენაესი საბჭოს თითოეული წევრი, ვინც კი საქართველოს პირველ პრეზიდენტთან ერთად მამულის დასაცავად ბოლომდე იბრძოდა, საკუთარი ხალხისა და ერის კეთილდღეობის პოლიტიკას იცავდა. არ დაუკლიათ საქართველოს მტრებს მათთვის არც რეპრესიები, არც დევნა, არც ციხე, სულიერი თუ ფიზიკური ტანჯვა, მაგრამ ისინი ყველა, ვინც კანონიერი ხელისუფლების დამხობის შემდგომ ჯოჯოხეთი გამოიარა, ბოლომდე ღირსეულ პოლიტიკოსებად და

მოღვაწეებად დარჩნენ, დღესაც სამშობლოს სამსახურში დგანან და მოკრძალებული, თავმდაბლური, ერთი შეხედვით, უჩინარი მამულიშვილის მძიმე ტვირთსა და უღელს ზიდავენ.

ერთ-ერთი მათგანი საქართველოს უზენაესი საბჭოს წევრი, დეპუტატი, ღირსეული ქართველი პოლიტიკოსი, ცნობილი ჟურნალისტი და პოეტი ჯემალ შონიაა.

შეიძლება ითქვას, რომ ჯემალ შონია მე ზუგდიდში, პირდაპირ ბრძოლის ველზე გავიცანი უფრო ახლოს, ვიდრე უზენაეს საბჭოში მოღვაწეობის დროს. ეროვნული ხელისუფლების დამხობის შემდგომაც ჯემალ შონიას არ მიუტოვებია ზოგიერთივით პოლიტიკური ასპარეზი და სხვადასხვა პარტიებს ან ჯგუფებს არ შეჰფარებია. როგორც ზვიად გამსახურდიას ერთგულ თანამებრძოლს და სულიერ თანამოაზრეს შეეფერება, მართლისმთქმელის კალამს მახვილით იქნევდა კრიმინალურ ხელისუფლებათა წინააღმდეგ და ხალხს რაინდულად ამხნევებდა, თანაუგრძნობდა, ისე ცხოვრობდა და მოღვაწეობდა, როგორც იმდროინდელი რიგითი ქართველები და ადამიანები. აურაცხელია მისი პოლიტიკური წერილებისა და განცხადებების რაოდენობა, შეუსწავლელია მისი ჟურნალისტური მოღვაწეობის ვრცელი და ხანგრძლივი პერიოდი, მისი ღვაწლი აფხაზი და ქართველი ხალხების ურნთიერთობის განმტკიცებაში. ამ პატარა, საიუბილეო წერილში მეც მიჭირს ვრცლად გადმოვცე ჯემალ შონიას მთელი ის პოლიტიკური მოღვაწეობის ნიუანსები, რომელსაც მე მთელი ამ წლების განმავლობაში მის სიახლოვეს მოღვაწეობისას ვამჩნევდი. ბატონი ჯემალი, უდავოდ, ღირსია საიუბილეო თარიღის

უფრო ვრცლად და დამსახურებულად აღნიშვნისა, მაგრამ მწამს, ის დროც დადგება, როდესაც ჩვენს იუბილარს პოლიტიკური ღვანლიც დაუფასდება და სამოქალაქო თავგანწირვაც.

იყო დრო, როდესაც კომუნისტურ საბჭოთა საქართველოში ქართველები ფარულად ეძებდნენ მათ გვარებს საქართველოს დამოუკიდებლობის აქტზე, ვინც 1921 წელს სამშობლოს თავისუფლებას ხელი მოაწერა და ამ ხელმოწერით მთელი შთამომავლობის წინაშე აიგო ძეგლი, როგორც ღირსეულმა წინაპარმა.

ბატონ ჯემალს, საქართველოს უზენაესი საბჭოს წევრს, ხელი აქვს მოწერილი 1991 წლის 9 აპრილის საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის აქტზე! ვინც უნდა იქირქილოს ზვიად გამსახურდიას მომხრე პარტიული მოღვაწეების პოლიტიკოსობაზე, ჯემალ შონია ყველაზე ღირსეული პოლიტიკოსია მათზე, ვინც კი დღესაც პოლიტიკაში მხოლოდ საკუთარ გამორჩენასა და პიროვნულ ინტერესებს ეძებს. ზოგიერთისთვის კი პოლიტიკა სამშობლოს ღალატიც კია. ბატონ ჯემალს სხვაც რომ არაფერი გაეკეთებინა, მარტო ამ ხელმოწერითაც ამაყი სახელით წარსდგებოდა მომავალი თაობების წინაშე.

ბატონო ჯემალ!

გილოცავთ დაბადების დღეს, საიუბილეო თარიღს.

მე შეგნებულად არ აღვნიშნე ზევით, რომ ხართ აფხაზეთში არჩეული დეპუტატი, რომ მსხვერპლი ხართ იმ ბოროტებისა, რაც აფხაზეთში დატრიალდა, რომ თქვენც განიცდით დევნილი კაცის მძიმე და გაჭირვებულ მდგომარეობას.

როდესაც ვამბობთ, აფხაზეთიდან დევნილიო, ასე მგონია, – ეს „დევნილის“ ეპითეტი ქართველი კაცისათვის რალაცნაირი საბრალისისა და ბეჩავობის სინონიმად იქცა; თითქოს მხოლოდ და მხოლოდ იმიტომ ვატრიალებთ ამ სიტყვას ხშირად, რომ ვიღაცას უმწეობისა და ღირსების დაკნინების გრძნობა შთაგუნერგოთ. მე კი მგონია, რომ თქვენ დევნილი არ გქვიათ, ჩვენი სამშობლოა აქაც და იქაც, დროებითი მტრის სიხარული, რომელმაც დღეს აფხაზეთი საოკუპაციო ჩექმის ქვეშ მოიქცია. ჩვენ ყველა ერთად დავბრუნდებით მტრის მიერ მითვისებულ ქართულ მიწაზე, მერე რა, რომ აფხაზეთში არ ცხოვრობთ ამჟამად, თქვენი და თითოეული „დევნილის“ სახლი მთელი საქართველოა, თელავი თუ თბილისი, სოხუმი თუ გალი.

ჩემო ძმობილო!

გისურვებ ხანგრძლივ სიცოცხლეს, ღმერთი ჰფარავდეს თქვენს მშვენიერ ოჯახს. მომავალ შეხვედრამდე აფხაზეთში!



კახა ქაცხაია,

ფილოსოფიის მეცნიერებათა
დოქტორი, პროფესორი

ჯემალ შონიას ფილოსოფიური პოეზიის შესახებ

(ჯ. შონია, „ნაუკითხავი“, გამომცემლობა „საუნჯე“, თბ., 2017)

პლატონის მიხედვით, „ფილოსოფოსობა სიკვდილისათვის მზადებაა“, სიკვდილი სულაც არ არის საშიში, რადგანაც მარადიულობაში გადასვლაა. პლატონის ნააზრევს თუ დავეყრდნობით, იგივე შეიძლება ითქვას პოეზიაზე. პოეტიც მარადიულობას მიელტვის და ელაციცება, წარმავალისა და დროულის მიღმა მარადიულობასა და ქეშმარიტებას მიელტვის და, ფილოსოფოსისაგან განსხვავებით, კი არ გიხსნის, არამედ განგაცდევინებს „ყოფნის ზღაპარს“. როგორც წესი, მაღალი პოეზია ასეთი იდეალების მატარებელია, რაც, უდავოდ, რჩეულთა ხვედრია. სწორედ ასეთი პოეზიით გამოირჩევა ჯემალ შონია. მისი ლექსები გარეგნულად იმდენად უბრალო, ადამიანური და ახლობელი, მაგრამ შინაგანად იმდენად ღრმა ფილოსოფიური აზრების მატარებელია, რომ მათი წაკითხვისას, ისეთი შთაბეჭდილება გექმნება, თითქოს ეს ლექსები ადამიანის კი არა, ანგელოზის დაწერილია.

დიადი და მარადიული იდეებისა და იდეალების პოეტურ ენაზე გადმოტანა მარტივი საქმე როდია, მაგრამ პოეტი ჯემალ შონია ქართული სიტყვის ჯადოქრის ალლოთი ამას ბრწყინვალედ ახერხებს და რეალურად იმ ფერებში განგაცდევინებს იმ ტკივილსა თუ სიხარულს, რომელიც მის ლექსებშია დავანებული. თუ ლექსმა ადამიანის სენსუალური სამყაროს სიმები არ შეარხია, რა ლექსიაო, იტყვიან. ეს ჯემალ შონიას ლექსებს არ ეხება. პოეტს იმდენად ღრმად შეჰყავხარ თავის არაჩვეულებრივ პოეტურ სამყაროში, რომ მისგან მიღებული შთაბეჭდილებები მთელი ცხოვრება გაგყვება კაცს.

ცხოვრებასა და პოეზიაში ჯემალ შონიას გზა გოლგოთაზე სიარულს წააგავს. ეროვ-

ნული მოძრაობის პერიპეტიები, აფხაზეთიდან დევნილობა და კიდევ ბევრი ტკივილი, რომელიც მან ღირსეულად გამოიარა, მის პოეტურ დისკურსში იჩენს თავს. იგი გოლგოთის გზაზე მავალი კაცია, პოეზიისა და სიკეთისათვის ტანჯული, საზრისის მაძიებელი, სიკეთის, მშვენიერებისა და სიყვარულის მსახური, თავისუფლებისათვის მებრძოლი. ამ ყველაფრით იგი ამაღლებულია ყოველგვარ ცხოვრებისეულ სიბილწესა და ბოროტებაზე, შურიანობასა და ამპარტავნებაზე. როგორც წესი, ამგვარი პრინციპებით მცხოვრებ ადამიანებს ბედისწერა და გარემომყოფნი დიდად არ სწყალობენ ხოლმე, მაგრამ, მიუხედავად ამისა, იგი მაინც არ ურიგდება ბედისწერას და მასთან ბრძოლაში ლექსებით თუ საქმით ნათელ მაგალითს გვაძლევს. ბედისწერასთან მორკინალ და ნიცშესავით გატანჯულ ქართველ პოეტთა შორის ჯემალ შონია გამორჩეული ფიგურაა საკუთარი ხელწერით, სისადავითა და ღრმა ფილოსოფიური ნააზრევით. ამ მხრივ, ვტყვით, რომ ჯემალ შონია პოეტი ფილოსოფოსია, რომლის შემოქმედების მთავარი პრობლემა ადამიანი და ადამიანის ცხოვრების საზრისია.

ჯემალ შონიას ლექსებში მკთხველი ვერ ნახავს ყალბ, ნაძალადეგ და ხელოვნურ თემებს. მაგალითისთვის ავიღოთ თუნდაც ქართული სუფრა, ღვინოსთან და ვაზთან დაკავშირებული ყოფითი თემები, რომლებიც ხშირად გვხვდება მის ლექსებში. მისთვის ქართული სუფრა, ღვინო და პურმარილი შეუცნობელის შეცნობის ნამდვილი ქრისტიანული მისტერიაა. სუფრასთან მასთან ერთად გატარებული დრო კი ფილოსოფიური პოეზიის ვირტუოზული გაკვეთილებია.

ჯემალ შონიას პოეტური მედიტაციები აფხაზეთს დასტრიალებს თავს. აფხაზეთი მისი ტკივილისა და სიხარულის განუყოფელი ნაწილია. მისით სუნთქავენ და ცოცხლობენ სვეტიცხოვლისადმი თუ გალაკტიონისადმი მიძღვნილი ლექსები, რაც დღევანდელ ქართულ რეალობაში იშვიათობაა. იშვიათობაა, რომ პოეტი ამაღლებულ იდეალებზე, სილამაზესა და სიკეთეზე გესაუბრებოდეს და ამ დროს მხედველობიდან არ რჩებოდეს აფხაზეთი. საოცრად არის აღწერილი და გადმოცემული მის პოეზიაში აფხაზეთის ბუნება, ლაჟვარდოვანი ცა, ზღვა და ბალვენახები; მართალია, პოეტს იქ დატრიალებული ომი და უბედურება არ ავინყდება, მაგრამ მომავალს იმედით უყურებს და გამამაგებით ცდილობს ტრაგიკული ყოფიერების მარწმუნებისაგან თავის დაღწევას.

პოეტ ჯემალ შონიას თემატიკა კიდევ უფრო აქტუალურია თანამედროვე ფსევდოკულტურისა და ფსევდოლირებულებების ტირაჟირების ეპოქაში. პოტენციურად არაფრით არ განსაზღვრული „ინტერტექსტუალური“ ვირტუალური კულტურის პირობებში რაიმე სახის იდენტობაზე საუბარი შეუძლებელია. იდენტობა აქ გაგებულია, როგორც უმართებულო იგივეობისა და „ცნობიერების მისტიფიკაციის“ შედეგი. პოსტთანამედროვე ეპოქას არ შეუძლია, რომ საკრალურსა და პროფანულს, ტაძარსა და სავაჭრო ცენტრს, მარხვასა და კარნავალს, სადღესასწაულო წირვასა და სადღესასწაულო შოპინგს შორის არსებულ ოტოლოგიურ სხვაობას შეეგუოს. კარნავალი მარხვის ნიღბით, საშობაო წირვის

ნაცვლად შოპინგი და მრავალი მისთანა პოსტთანამედროვე დესაკრალიზებული ეპოქის ნიშანი გახდა, რომელშიც ჭეშმარიტებაზე, მიზეზზე ან მიზანზე, პატრიოტიზმზე საუბარი არაპოლიტიკორექტულად და საეჭვოდაა მიჩნეული. კარნავალურობა საოცრად სწორად გამოხატავს იმ სოციოკულტურული სიტუაციის არსს, რომელიც სპექტაკლის სახით ხორციელდება. ამის მიხედვით, წმინდანი ჩანაცვლებულია პროფანით, გმირი კი – ტაკიმასხარით. შედეგად მოგებაზე, გართობაზე, ძალადობასა და სექსზე ორიენტირებულ სარეკლამო ესთეტიკას ვიღებთ. სწორედ ამგვარ ესთეტიკას უპირისპირდება ჯემალ შონიას საოცრად ფილოსოფიური პოეზია.

პოსტმოდერნული ვირტუალური ეპოქა აქტიურად ავრცელებს ამნეზიის ყოველგვარ შესაძლებელ ტექნიკას, რომელიც დიდწილად „ანტიმეხსიერების“ სტრატეგიაზეა აგებული. ანტიმეხსიერების ფართოდ რეკლამირებული ფიგურები ტრადიციის იმიტაციით ეტალონურ სიმულაკრად გვევლინება და საკუთარს გარდა სხვა წარსულს არ ცნობენ. მისი კულტურული კონტექსტი პირდაპირ კავშირშია მაკდონალდსთან, ჰოლივუდთან და დისნეილენდთან. ამ სახის პერსპექტივაში პრინციპული განსხვავება სიკეთესა და ბოროტებას შორის გამქრალია. ღირებულებათა აბსოლუტური იმპლოზიის პირობებში ძნელია ნამდვილ თემებზე საუბარი, მაგრამ პოეტი ამას არ უშინდება. მერე რა, რომ მსგავსი თემები „გაყიდვადი“ არ არის. ნამდვილი პოეტი არ იყიდება და სწორედ ასეთად წარმოგვიდგება ჯემალ შონია.



მანგული სუბუა

გაისად აფხაზეთში

ბატონ ჯემალ შონიას წილად ხვდა ბედნიერება, ყოფილიყო საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის აქტის ხელმომწერი. დამოუკიდებლობის აქტის მიღებიდან მალევე ის სხვა პატრიოტებთან ერთად ანტიქართული ძალებისაგან, ხოლო შემდგომში ზოგიერთი ვაიმოკავშირეებისგანაც დევნის ობიექტი გახდა.

მახსოვს კრიტიკული მომენტები, როცა შექმნილი სიტუაცია მისგან გაბედულ, პასუხისმგებლობით გაჯერებულ გადანყვეტილებებს ითხოვდა. ბატონი ჯემალი იმ მცირეთაგან

ერთ-ერთია, რომელიც პასუხისმგებლობას არასდროს გაჰქცევია, უკან არ დაუხევია, სიტყვით და საქმით ეროვნულ იდეებს ემსახურებოდა. დღევანდელი გადასახედიდანაც აშკარაა, რომ მისი პოზიცია ყოველთვის გამონწვევის და პასუხისმგებლობის ადეკვატური იყო.

ჩემო ჯემალ! მინდა გამოვხატო შენდამი დიდი პატივისცემა, სიყვარულით მოგილოცო იუბილე.

გაისად – აფხაზეთში!

ვალერიან ვეკუა

გაგმარჯვებოდეს მტერზედა!..

ჯემალ შონია არის ადამიანი, რომელიც სიტბოსა და სიყვარულს ასხივებს. შვიდათეული წელი არც ისე ცოტაა ხაფანგებით აღსავსე წუთისოფელში, მაგრამ თუ ვინმეზე შეიძლება ითქვას, ცხოვრების გზასავალი ღირსეულად გაიარაო, თამამად, ყოველივე შეფერადების გარეშე იუბილარზე ითქმის.

ბატონი ჯემალი ის პიროვნებაა, რომელსაც უკან მიხედვის არ ეშინია, სახელოვანი წარსულის გამო მიეკუთვნება იმ ადამიანთა რიცხვს, რომლებიც საქვეყნო საქმეს ჩუმად და რუდუნებით, უხმაუროდ აკეთებენ...

გასული საუკუნის ოთხმოციანი წლებიდან მოყოლებული ბოროტების იმპერიად წოდებული ბიბლიური მხეცის მონობის უღლიდან სამშობლოს დასახსნელად მებრძოლთა რიგებშია, ეროვნული გამირების ზვიად გამსახურდიასა და მერაბ კოსტავას გვერდით, ერთგულია იდეალებისა, რასაც იბერიის გაბრწყინება ჰქვია... დღემდე არ გადაუხვევია არჩეული გზიდან, როგორც ეს თავისუფლებისათვის მებრძოლ რაინდს სჩვევია და კაი ყმის წესი არს...

სიტყვაკაზმულ მწერლობაშიც ბატონმა ჯემალმა კარგა ხანია თავისი სიტყვა თქვა. ის, როგორც მწერალი, პუბლიცისტი და ნიჭიერი, მიუკერძოებელი ჟურნალისტი, მაღლიან კალამს მამულის კეთილდღეობის საშურ საქმეს ახმარს... მისთვის უცხოა ყოველგვარი მერკან-

ტილური, ფუქსავატური მისწრაფება. მუდამ თავისი უბრალოებითა და სისადავით უზადო სიყვარულს იმსახურებს...

დღეს, როდესაც კირთების ჟამი უდგას ჩვენს სამშობლოს, ჯერ კიდევ დიდი ეკლიანი გზაა გასავლელი ჭეშმარიტ თავისუფლებამდე, რისთვისაც ბატონი ჯემალი მუხლჩაუხრელად, ხმაღმემართული იბრძვის.

თავისუფლება და ქვეყნის გამთლიანება ყველა ჩვენგანის ოცნებაა, მით უმეტეს, აფხაზეთიდან გამოსულთათვის, რომლებიც ოდაბადედან აყრილები ორ ათეულ წელზე მეტია მამულის მწარე ხვედრის მოზიარენი არიან...

არ შეიძლება ბოროტებამ უსასრულოდ იზეიმოს... ჩემი ღრმა რწმენით, საქართველოს სიკვდილი არ უწერია. ის გადარჩება და გაიმარჯვებს ბოროტებაზე, რადგან სამშობლოს სამსახურში არიან ისეთი მამულიშვილები, როგორცაა ბატონი ჯემალ შონია.

ჩვენი ურთიერთობა გასული საუკუნის სამოციანი წლებიდან მოდის. ეს სტუდენტობის წლებია, ყველაზე სამახსოვრო და საყვარელი წლები. ვამაყობ ამ ურთიერთობით. ბედნიერი ვარ, რომ შესაძლებლობა მეძლევა სამოცდაათი წლის იუბილე მივულოცო საყვარელ ადამიანს, ღირსეულ მამულიშვილს საბედინოდან...

გაგმარჯვებოდეს მტერზედა, ბატონო ჯემალ!..

ჯეაქალ შონია

ირაკლი გოცირიძის გვერდით
(მოგონებების წიგნიდან „სამად სამი სადღეგრძელო“)

„იბერია-სპექტრის“ რედაქციაში ჩემმა გაჭირვებამ მიმიყვანა. ეს იყო 1994 წლის ოქტომბერში. დევნილს, უსახლკაროს არავითარი სახსარი არ გამაჩნდა და ნოდარ ნონიაშვილმა, ჩემმა მეგობარმა და კოლეგამ უზენაესი საბჭოდან, ამ გაზეთში მუშაობა შემომთავაზა. ნოდარი მაშინ იქ ირაკლი გოცირიძის მოადგილედ მუშაობდა. დიდი სიამოვნებით დავთანხმდი, რედაქციაში გავყევი, მაგრამ იქაური დახვედრა ჩემთვის მოულოდნელი აღმოჩნდა: ბატონი ირაკლი არცთუ ისე დიდი სიხარულით შემხვდა, არც ჩემი ჟურნალისტური გამოცდილების მიმართ გამოუჩენია დიდი ინტერესი და, მით უმეტეს, არც ჩემი უზენაესი საბჭოს დეპუტატობის მიმართ, რადგან, როგორც შემდეგ ვნახე, დეპუტატთა საკმაოდ დიდ ნაწილს ბევრად არ სწყალობდა. მაგალითად, მაია თომაძის ნეკროლოგი როცა გამოვაქვეყნეთ, ხელმომწერთა შორის „არასასურველ“ დეპუტატთა გვარები ამომალეზინა.

ირაკლიმ რედაქციაში ყველაზე დაბალი რანგის – სტილისტის „ხალათი მიბოძა“ და, რაც ჩემთვის გამოაგნებელი იყო, ერთი თვით „გამოსაცდელი ვადა“ დამინიშნა. ერთი თვით კი არა, წუთითაც არ მინდოდა იქ გაჩერება, მაგრამ ისევ ნოდარმა არ ქნა, რაღაც პატარ – პატარა სათარგმნებს მაძლევდა და მწირი ჰონორარებით გამქონდა თავი.

რაც შეეხება ჩემს სტილისტობას, ლევან შენგელაიასა და რეზო ურუშაძის გარდა, არავინ არაფერს მეკითხებოდა, წერილები ჟურნალისტებს პირდაპირ რედაქტორთან მიჰქონდათ. ხანდახან თუ მომეცემოდა საშუალება, სტამბაში წაღებამდე გვერდებისთვის გადამეწვლო თვალი და კორექტურული შეცდომები ჩამესწორებინა. ერთხელ რაღაც მცირე ინფორმაცია დაბეჭდეს, რომელშიც უნგრელი პოეტი, თავის დროზე „ვეფხის-

ტყაოსნის“ მთარგმნელი ჰაინალქა ბაბირაქი ბატონობით იყო მოხსენიებული. ირაკლის როცა ვუთხარი, ეს ადამიანი ბატონი კი არა, ქალბატონია – მეთქი, ცოტა არ იყოს, შეფიქრებინდა, მერე დილის შეკრებისთვის ერთდროულად გაზეთის სამი ნომრის გარჩევა შემომთავაზა, მიხვდა, რომ ასე იოლად გასამეტებელი არ ვიყავი და შტატში ამიყვანა. იმასაც ვიტყვი, რომ ამ გადაწყვეტილებაში დიდი იყო გაზეთის კომერციული დირექტორის კაკო კლდიაშვილის წვლილი.

ირაკლი თანამშრომლებში, პირველ რიგში, ერთგულებას აფასებდა და შეეძლო სულ უმნიშვნელო მიზეზით რედაქციიდან გაეშვა ნებისმიერი ადამიანი. ია-ვარდით მოფენილი არც ჩვენი შემდგომი ურთიერთობა იყო, მაგრამ გამოსავალს ყოველთვის ვპოულობდით. ასეთ ურთერთობაში „ფუთი მარილი“ რომ გაიხარჯა, თანდათან მის მთავარ დასაყრდენად, სანდო მეგობრად ვიქეცი და სიცოცხლის ბოლომდე გვერდიდან არ მიშორებდა.

მე რომ რედაქციაში მივედი, მაშინ იგი მაჩაბელზე, კომკავშირის ცეკას, შემდგომში „მრგვალი მაგიდის“ ოფისის დანგრეული და გაპარტახებული შენობის სულ ზედა სართულზე იყო განთავსებული. 1998 წელს კოსტავას 16 – ში, ე.წ. პრესის სახლში გადავედით და ამ დროს მანდო ირაკლიმ პასუხისმგებელი მდივნის არც ისე იოლი საქმე.

ზემოთ დასახელებული ჟურნალისტების გარდა, ჩემს დროს რედაქციაში მუშაობდნენ საქმის ერთგული, თავდადებული ადამიანები, ჟურნალისტები თუ ტექნიკური მუშაკები: ელენე ბარათაშვილი, თამარ მარუაშვილი, ლია ჩხარტიშვილი, ირინე კუკავა, დალი ჩიკვაიძე, ციური ბაღაშვილი, ია მერკვილაძე, მარინე ნიაური, ლალი უმიკაშვილი, თამუნა ჩიხლაძე, ნათელა ხომტარი, ნანა ჟიჟიაშვილი, ფატი მიქანძე, თინათინ



ირაკლი გოცირიძე და მისი კოლექტივი

პასიკაშვილი, ციციხო მჭედლიშვილი, ირმა მაჩაიძე, ნელი გოგიშვილი, იონა(გია) ცქიფურიშვილი, ვოვა კვინიკაძე, ლევან ჩხეიძე, ბაკურ საყვარელიძე, მაიზერ გელოვანი და სხვები, ყველას ვერ ვიხსენებ.

გაზეთმა „იბერია – სპექტრმა“ მნიშვნელოვანი როლი ითამაშა სისხლით მოსული, უკანონო ხელისუფლების მხილებაში. ირაკლი ხედავდა ამას და სხვა ეროვნულ გაზეთებს უფრო მეტოქეებად თვლიდა და არა თანამებრძოლებად. ერთხელ საგანგებოდ დაიბარა ცნობილი პოეტი ნოდარ ჯალალონია, როდესაც გაიგო, რომ იგი გაზეთის გამოცემას აპირებდა, – რა საჭიროა ახალი გაზეთი, როცა „იბერია – სპექტრი“ გამოდის, მოდი და ჩვენთან იმუშავეო.

კაცმა რომ თქვას, ირაკლის თავმონონებას საკმაო საფუძველი ჰქონდა. იგი პრეტენზიული, მამაცი და პრინციპული ადამიანი იყო, ხშირად უთქვამს, რომ ამ თვისებებით თავის სახელოვან ბაბუას დავით კლდიაშვილს ჰგავდა.

ერთხელ ირაკლისა და მე დერეფანში

ერთი ჟურნალისტი ქალი შემოგვხვდა, 90 – იან წლებში ცნობილი თავისი დაურიღებლობით და ზღვარსგადასული ხმაურით. ირაკლი დიდი ამბით მოიკითხა, გადაკოცნა, გაესაუბრა. როცა დავმორდით, ირაკლიმ მკლავში ხელი მომკიდა და ჩამჩურჩლა, – ამქვეყნად არავის არ მეშინია, ამ ქალის გარდაო.

კარგი იუმორი ჰქონდა, გონებამახვილი და ენამოსწრებული იყო; ქეიფი ზომიერი იცოდა, მაგრამ მომლხენი იყო. რედაქციაში და მის ბინაშიც, მეტრო „პოლიტექნიკურთან“, სუფრას ხშირად შლიდა. სახლში ჩვენი გულღია მასპინძელი მისი ცოლი – მანანა იყო. რამდენი ცოლი ჰყავდა, ვერ გეტყვით, ბოლოს მანანა შერჩა. ქეიფისას ხანდახან წაიმღერებდა, განსაკუთრებით მოსწონდა „წყალს ნაფოტი მოჰქონდა“, ოღონდ, როგორც თვითონ იტყოდა, მისი „რაჭული“ ვარიანტი – სიმღერის ტექსტი მხოლოდ ამ სამი სიტყვით შემოიფარგლებოდა, მაგრამ ისე შეაფერადებდა სხვადასხვაგვარად, რომ სასიამოვნო მოსასმენი იყო.

ხშირად დავდიოდით ახატანში, სადაც აგარაკი ჰქონდათ; აგარაკს ეძახდნენ, თორემ დიდი, სოფლური ეზო იყო ასევე დიდი ორსართულიანი სახლით. ახატანში მანანა ხშირად რამდენიმე დღით რჩებოდა, მაგრამ ირაკლის მაცივარი ყოველთვის სავსე იყო გამზადებული საჭმელ – სასმელით.

სამი ვაჟიდან ორი მოუკლეს და ჩემსავით უბედური მამა იყო. გოგი გოცირიძე პუტჩისტებმა წამებით მოკლეს 1992 წელს. თამაზი მოსკოვში, ქუჩაში ნახეს მოკლული. როცა ჩამოასვენეს, გვერდიდან არ მიშორებდა, უკვე მოტეხილი, დასუსტებული იყო ეს ენერგიული, ცეცხლივით კაცი.

ახალი საუკუნის დასაწყისისათვის ძალა მის გაზეთსაც გამოეღია. ძალიან ეძნელებოდა მისი დახურვა, მაგრამ ვერავითარი სახსარი ვერ იშოვა და ბედს შეურიგდა. თანდათანობით სახლში ჩაიკეტა, თვალთ დააკლდა, ახალი ყურსასმენისათვის ჯანდაცვის სამინისტროში დავყვებოდი. თითქმის ყოველდღე მირეკავდა და თავისთან მიხმობდა. თუ ზამთარი იდგა, გაზქურა ბოლომდე ანთებული ჰქონდა და თანაც გაზის პატარა გამათბობელს იყო მიფიცხებული გრძელი სქელი ხალათითა და ჩაჩით. – გემიებაო, – მეტყოდა და მაცივრიდან მზაკერძებს გამომატანინებდა. საჭმელს გავათბობდი, სუფრას გავშლიდი და ვხედავდი, – თვითონ შიოდა, მარტო ჭამა კი, როგორც ჩანს, ეზარებოდა.

80 წლის რომ გახდა, გამომცემლობა „ზანის“ დირექტორს, ჩემს მეგობარს მურმან ზაქარაიას გავანდე, რომ საიუბილეოდ „იბერია-სპექტრის“ ნომრის, ბოლო ნომრის, გამოცემა სურდა. ჯერ 8-გვერდიან გაზეთზე იყო ლაპარაკი, მერე, მასალების შეგროვებისას, როგორც იტყვიან, ეშხში შევიდა და 16-გვერდიანი ნომერი მოისურვა, მერე და მერე კი 28 გვერდამდე ავიდა! ბატონ მურმანს ამდენი საშუალება სად ჰქონდა, მაგრამ უსიტყვოდ შეუსრულა სურვილი – 2003 წლის იანვარში ირაკლის საიუბილეოდ „იბერია – სპექტრის“ ბოლო, 359-ე ნომერი გამოვიდა, თანაც ძვირადღირებულ ქალაქდზე.

2004 წლის 1 მარტს ჩემს სოფელში, საბერიოში (გალის რაიონში) მამაჩემი გარდაიცვალა. იმავე საღამოს გავემურე ზუგდიდში მატარებლით, მანამდე ირაკლისთან შევიარე. მანანამ ლოგინად ჩავარდნილს აუხსნა, თუ სად და რატომ მივდიოდი. – აბა, რა უნდა ქნასო, – ძლივს ამოთქვა მისუსტებული ხმით. 3 მარტს უკვე საბერიოში ვიყავი, როდესაც მანანამ დამირეკა და ირაკლის გარდაცვალება მაუწყა. ისე მოხდა, რომ მამაჩემი საბერიოში და ირაკლი თბილისში ერთ დღეს – 7 მარტს დაკრძალეს; ასე რომ, გარდაცვლილი ირაკლი არ მინახავს. ის მაინც მოვახერხე, რომ საბერიოდან დავურეკე ჩემს მეგობარს გურამ აბსანძეს, რომელიც მაშინ ვიცე – პრემიერი იყო. გურამმა ათასი ლარი გადაარიცხვინა მთავრობას ირაკლის დაკრძალვის ხარჯების დასაფარავად. მანანამ ეს ფული მოგვიანებით გამოიტანა ბანკიდან, ამასობაში კი ირაკლი საბურთალოზე, ნათესავი გოცირიძეების საერთო, თანაც ვინრო და უბრალოდ შემოკავებულ სასაფლაოს იყო მიბარებული; ერთი ისაა, რომ საფლავის თავთან ჩვეულებრივი ფილაა გაკრული წარწერით, რომ იქ „იბერია – სპექტრის“ დამაარსებელი და რედაქტორია დაკრძალული.

სხვაზე რომ არაფერი ვთქვათ, ირაკლი გოცირიძე ორი რამით დარჩება ქართული ჟურნალისტიკის ისტორიაში: ჯერ ერთი, მან ჩვეული გაბედულებით წარმართა დამოუკიდებელი ჟურნალისტური გამოცემა 1989 წლის 9 აპრილის ტრაგედიასთან დაკავშირებით და დაურიდებლად ამხილა ამ ტრაგედიის მოთავე დამნაშავეები: საკავშირო ცეკას პოლიტბიურო და ჯალათი გენერლები. ირაკლიმ მოახერხა ის, რაც იმ დროისათვის წარმოუდგენლად მიიჩნეოდა, და საკუთარ კაბინეტებში ინტერვიუები, იგივე ჩვენებები, ჩამოართვა პოლიტბიუროს ბოლოებსა და მაღალჩინოსან სამხედროებს. ამის შესახებ ირაკლიმ ორი წიგნი გამოსცა: ერთი რიგაში (მოსკოვში არ გამოუცეს) რუსულ ენაზე – „მე ვიხედე ხელისუფლების სეიფებში“, მეორე კი თბილისში – „სიმარ-



სტუმრად ი. გოცირიძესთან

თლის კვალდაკვალ“. სიცოცხლის ბოლო წლებში ირაკლის ძალიან სურდა რუსული წიგნის ქართულად თარგმნა და გამოცემა. ნახევარი წიგნი თარგმნილი მქონდა, როცა გარდაიცვალა. ნათარგმნი ტექსტი მიზარებული ჰქონდა ასაწყობად კომპიუტერული ცენტრისთვის, რომელიც კოსტავაზე იმ ოთახში იყო განთავსებული, სადაც ადრე ჩვენი რედაქცია იყო. მერე მოხდა ისე, რომ ის შენობა გაიყიდა, ნათარგმნები სეიფში დარჩა და ბოლოს სეიფიანად დაიკარგა...

მეორე, რითაც ირაკლი გოცირიძე დარჩება ჩვენი ჟურნალისტიკის ისტორიაში, სწორედ მისი „იბერია – სპექტრის“ მიერ განეული ღვანღია. ამ გაზეთს თავისი მკითხველი ჰყავდა- კანონიერი ხელისუფლების, დამხობილი პრეზიდენტის მომხრე მოსახლეობა. შევარდნაძის ხელისუფლებას ამ

გაზეთის საფუძვლიანი შიში ჰქონდა, რადგან იგი მისი შავი საქმეების გაბედული მამხილებელი იყო და ამას სათავეში გაზეთის ერთპიროვნული ლიდერი, ძალიან მამაცი და მართალი ადამიანი ედგა. ირაკლი გოცირიძე და მისი თანამშრომლები რამდენჯერმე იყვნენ დაპატიმრებულნი, ბევრჯერ იქნა დარბეული რედაქციაც, ერთ დროს გაზეთი სულაც დახურეს, ირაკლის ბინა ტყვიებით დაუცხრილეს, მაგრამ იგი ვერაფრით დააშინეს. აი, ეს იყო მთავარი და მომხიბვლელი მასში და ამიტომაც ვითმენდით მის არც ისე იშვიათ უმიზეზო აფეთქებებსაც.

ჩემი უმცროსი ქალიშვილი, თეკლე, დღემდე ინახავს თავის პირველ მოსწავლის ჩანთას. იგი ირაკლიმ პირველ კლასში შესვლისას აჩუქა. შენახული აქვს აგრეთვე ირაკლისადმი სამეგრელოდან მოწერილი წერილი (მაშინ 7 წლისა იყო): „ჩემო ირაკლი ბაბუა! როგორ ბრძანდებით, მომიკითხეთ თქვენი კოლექტივი. ყველა მენატრებით, მაგრამ ჩემი მამიკო სულ უფრო მენატრება. ამიტომ ძალიან გთხოვთ, მამიკო გაათავისუფლოთ 10 დღით...“ ამ ფურცლის მთავარი ღირსება ისაა, რომ ქვეშ ირაკლის წითელი პასტით წარწერილი აქვს: „ჯემალ! ეს დოკუმენტი შეუნახე შენს ცუნცულა გოგონას და გადაეცი მისი ქორწილის დღეს. ირაკლი.“ მე კი სამახსოვროდ დამრჩა ამ ღირსეულ მამულიშვილთან, ძალიან განათლებულ მოღვაწესთან გატარებული წლები. ირაკლი გოცირიძემ პირველი შეხვედრით განცდილი სიცივე უზომო, დაუღვეველი სითბოთი შემიცვალა და ამიტომაც ერთგვარად მტკივა და თან მესახელება ერთ დღეს გაჭრილი ორი საფლავი: მამაჩემის და ირაკლი გოცირიძისა.



ჯემალ შონია

მტრის წისქვილი მოყვრის მდინარეში

მას შემდეგ, რაც ჩვენმა სამშობლომ დამოუკიდებლობა მოიპოვა, განსაცდელი და გასაჭირი წლიდან წლამდე არ გვეშვება: ხან ჩვენი ბედოვლათობით მივაქანებთ ქვეყანას უფსკრულის პირისკენ და ასე ვაკეთებთ ჩვენი ხელით მტრის საქმეს, ხან კიდევ სახლში შემოჭრილი მტერი გამოაჩენს ბრჭყალებს და მთელი მსოფლიოს თვალწინ ნაჭერ-ნაჭერ გვართმევს მამაპაპურ მიწებს. ამრიგად, ჩვენი სახელმწიფო საფრთხის წინაშე მუდმივად დგას; მუდმივია ის ფარული თუ აშკარა ომიც, რომელსაც გინდ ჰიბრიდული დავარქვათ, გინდ იდეოლოგიური დივერსია თუ რუსული პროპაგანდისტული ექსპანსია, სახელს მნიშვნელობა არა აქვს, – ფაქტი ისაა, რომ ქართველი ადამიანის გონებაში, განსაკუთრებით უკანასკნელ წლებში, მეთოდურად, განუწყვეტლივ და დაჟინებით ცდილობენ საშიში ვირუსების შეყვანას და დაბინავებას, ჩვენი ცნობიერების მდინარეში თავიანთი წისქვილების ჩადგმას, ანუ ჩვენი აზრისა და ფიქრის იმ ციხესიმაგრედან გამოძევებას, რომელსაც ეროვნული თვითშეგნება ჰქვია.

დიახ, მტერი შემოჭრილია არა მარტო ფიზიკურად, თვალხილულად, არამედ იგი ჩვენი გონებისკენაც მოიპარება, მისი დაპყრობაც სწადია. ხომ ნათქვამია, მიმპარავი ძალლი მყეფარზე უარესიაო, ასეთ ვითარებაში თითოეულ ჩვენგანს დიდი სიფხიზლე და წინდახედულობა მართებს, რათა (მერამდენედ!) ანკესზე არ წამოვეგოთ, ხაფანგში არ გავებათ.

ჩვენი ქვეყნისა და ჩვენი თავის ასეთ დღეში შემხედვარეს გასახარებლად ცოტა რამ გვყოფნის, მაგრამ ასევე ცოტა რამ გვტკენს და გვიფორიაქებს გულს. დარწმუნებული ვარ, ჩემთან ერთად ამნაირ მდგომარეობაში ჩავარდებოდა 12 ივნისს საზოგად-

დობრივი მაუნყებლის საღამოს „მოამბის“ მაყურებელიც ენგურის თაღოვანი კაშხლის შესახებ სიუჟეტის ხილვისას.

ახალგაზრდა ჟურნალისტები, სიუჟეტის ავტორები, გვიყვებიან ენგურჰესის ამ მართლაც უნიკალური ობიექტის მსოფლიო კულტურული მემკვიდრეობის ნუსხაში შეტანის პერსპექტივაზე, იმ საინტერესო პროექტზე, რომელმაც კაშხალი მნიშვნელოვან ტურისტულ ობიექტად უნდა აქციოს. მაგრამ, ეს ახალი ამბავი კარგ გუნებაზე რომ გაყენებს, ამის გააზრებასაც ვერ ასწრებ, იქვე მწარედ ხვდება ყურსაც და გულსაც მთხრობელი გოგონას სიტყვები: „საქართველოსა და აფხაზეთის ელექტროსადგურებში...“ არ გინდა, ყურებს დაუჯერო, მაგრამ ორიოდ ფრაზის შემდეგ იგივე მეორდება: „ეს წყალსაცავი კი საქართველოსა და აფხაზეთს შორის ერთ-ერთი მაკავშირებელი ძაფია...“

„საქართველო და აფხაზეთი“?

ნუთუ საქართველო სხვა არის და აფხაზეთი კიდევ – სხვა?!

საქართველოსა და მისი ერთ-ერთი შემადგენელი კუთხის, აფხაზეთის, ასეთ კონტექსტში ხსენება ისეთივე აბსურდია, როგორც, ვთქვათ „საქართველო და კახეთი“, „საქართველო და გურია“ და აშ., მაგრამ ამ აბსურდს ჩვენი მტრები თავიანთი სამოსით ფუთავენ, რაკი ის ოკუპირებულ მხარესთანაა დაკავშირებული. ისე გამოვიდა, რომ ზემოთ ნახსენებ სიუჟეტში კომენტატორი მტრის ტერმინით გველაპარაკებოდა, ანუ, ნებსით თუ უნებლიეთ, მტერი ასიამოვნა და აცინა, ჩვენ კი ისედაც ნატკენ გულზე ახალი ნაჭრილობევი დაგვატყო. თუკი ეს ფრაზა დაუფიქრებლად წამოსცდა ახალგაზრდა ჟურნალისტს, ეთერში გახმოვანებამდე რატომ არ მიაქციეს მას ყურადღება

არხის იმ მესვეურებმა, რომლებსაც ასეთი მიუღებელი გამონათქვამების შემჩნევა და გასწორება სამსახურებრივად ევალებათ? ერთი სიტყვით, ამ აღმაშფოთებელ ფაქტს სხვა გამართლება არა აქვს.

სწორედ ასეთ ფრაზებს იყენებს მტერი ჩვენი მეტყველებისა და აზროვნების დასასარეველიანებლად და მათში მათი იდეოლოგიური აგრესიის კვალი ჩანს. ეს კვალი, შესაძლოა, ათასში ერთხელ იჩენდეს თავს, მაგრამ გამოცდილმა მტერმა, მისმა საამისოდ შექმნილმა და დახელოვნებულმა ინსტიტუტებმა კარგად უწყინან, თუ როგორ უნდა იქცეს ერთეული შემთხვევა ეპიდემიურ მოვლენად. „საქართველო და აფხაზეთი“ სწორედ მტრული იდეოლოგიის პროდუქტია, ერთგვარი ატრაქტანტია ბორების, ტკიპებისა და სხვა მწერების მოსაზიდად, რომლებიც ცხოველების კანში იჭურებენ, რათა შიგ გამრავლდნენ, ცხოველები კი დაანეკროსონ და სიცოცხლე მოუსწრაფონ. მოდით, ჩვენც ნუ ვიქნებით ძროხები და ცხვრები მტრის ხელში, ნუ გავიკარებთ დამანგრეველ ვირუსებს გულსა და გონებაში, ნუ შევაჩვევთ სიტყვას, თვალსაც და ყურსაც დამამცირებელ, ღირსების შემლახველ ისეთ მოვლენებს, როგორიცაა, მაგალითად, ჩვენი სამშობლოს დაქუცმაცების აქტიური მომხრე რუსი ყოფილი დიდმოხელის თავხედური გასეირნება საქართველოში, რუსეთში გამოცემული „ახალსაზღვრებიანი“ რუკების გავრცელება, პრორუსული გამოცემებისა და ტელევიზიების მომრავლება და მომძლავრება და მრავალი სხვა რამ. მით უმეტეს, რომ მტრულ პროპაგანდისტულ აგრესიას ემატება ზოგიერთი ჩვენგანის ტვინში ქრონიკულად „ჩაჭურებული“ საბჭოური ფსიქოლოგიაც, გაქვავებული, მაგრამ სიცოცხლისუნარიანი კომუნისტური კლიშეებიც. ასეთი ადამიანები, ჩვენი საზოგადოების წევრები, მტრის წისქვილზე ასხამენ წყალს და თუკი ასე გაგრძელდა, ასეთი მოყვარე დროთა განმავლობაში მტრად

გვექცევა, შოთას თქმით კი, „მოყვარე მტერი ყოვლისა მტრისაგან უფრო მტერია.“

სწორედ მოყვრის მტრობის შედეგია ჩვენგან ჩვენივე გვარ-ჯილაგის გაუცხოება აფხაზეთში – კუთხეში, სადაც საფუძველი ჩაეყარა ქართულ სახელმწიფოებრიობას, რომლის მოსახლეობაც ქართულ ენაზე ინათლებოდა და ლოცულობდა; მოყვრის მტრობის შედეგია ის, რომ წარმოშობით ქართველებმა, დღესაც ქართული გვარის მატარებლებმა, რომლებიც დღევანდელი აფხაზი ხალხის ნახევარზე მეტს წარმოადგენენ, ზურგი აქციეს ქართულ სამყაროს, თავიანთივე წარსულს, რა თქმა უნდა, მტრის ნაქეზებითა და ხელშეწყობით, თვალთმაქცობითა და გველაძეობით.

დღეს აფხაზეთში მდებარე ჩვენს სულიერ სავანეებში ქართული ლოცვა არ ისმის, სკოლებიდან ქართული ენა განდევნილია, აკრძალულია ოჯახში ქართულად ლაპარაკი, დავიწყებული და დამახინჯებულია ისტორიული წარსული, ის საუკუნეები, როდესაც ხალხის ეროვნული შეგნების მასაზრდოებელ წყაროს აფხაზეთშიც ეკლესია-მონასტრები წარმოადგენდნენ; აქ იწერებოდა მოქვის სახარება, ბედიის გულანი, აქ შეიქმნა მოქვის კარედის უებრო ხატი, გასაოცარი ოქრომჭედლური ქმნილება – ბედიის ბარძიმი, ქართული წიგნების გადამწერლები მოღვაწეობდნენ ბიჭვინთაში, ანაკოფიაში, დრანდაში, ნიფურიაში, მოქვში, ბეღიაში, ილორში, რომლის დედაქართული ბაზილიკა რუსული წესისამებრ შეათეთრეს და ზედ უშნო გუმბათისმაგვარი რამ დაადგეს.

არ ვიცი, საქართველოს სხვა კუთხეებში დადასტურებული არის თუ არა მსგავსი ფაქტი, მაგრამ აფხაზეთში წერილობითი დოკუმენტი – „აფხაზეთის საკათალიკოსოს დიდი დავთარი“ (შედგენილია 1621 წლამდე) გვიმონმებს ფრიად საინტერესო მოვლენას იმის შესახებ, თუ როგორ აფასებდა აფხაზეთის მოსახლეობა ჩვენი ტაძარ-ეკლესიების

განმანათლებლურ ღვაწლს და, ზოგადად, განათლებას. ეს ყველაფერი ხომ ხუცეების საქმიანობასთან იყო დაკავშირებული, ამიტომ სიტყვა „ხუცესი“ არა მხოლოდ ეკლესიის მსახურს, არამედ ნასწავლ, განათლებულ, ავტორიტეტულ ადამიანსაც აღნიშნავდა და წერა-კითხვის უცოდინარი ადამიანები მას შვილებსაც არქმევდნენ, ე.ი. საზოგადო სახელი საკუთარ სახელად იქცა. ზემოთ დასახელებულ წყაროში მოხსენიებული არიან ხუცეს ამბალია, ხუცეს ვარდანი, ხუცეს თიფშხუა, ხუცეს გოგორდავა. აფხაზეთში დღესაც ცხოვრობენ გაფსუებული მერჩულეები, ქართულ სჯულის წიგნთა გადამწერების შთამომავლები.

რადგან გვარ-სახელები ვახსენეთ, იმავე ისტორიულ წყაროში დაფიქსირებულ სხვა სახელებზეც შევჩერდეთ. სულიერადაც აოხრებულ და შერყვნილ აფხაზეთში კი არა, მეზობელ სამეგრელოშიც დღეს იშვიათად შეხვდებით დედაენის წიაღიდან გამოსულ ასეთ ღრმაშინაარსიან, საოცარი ლირიზმით გაჟღერებულ და კეთილშობილური ჟღერადობის სახელებს, რომლებშიც ჩვენი წინაპრების მსოფლმხედველობაც არის გამჟღავნებული: თოლიოქრო, თოლისქვამი, თოლიბედი, თოლიმაფუ, თოლმიხილა, მამისშური, მამისმამა, მამასფერი, მამულია, მიხილია, გურმიხილი, გულაბა, ჯგირიკოჩი, მესტუმრია, მიძირუდა, მაჭირხოლა, კაკაჩა, უსქვამაში, გამიგონა, მხიარულა, ყელგრძელი, სანატრელი, უწყინარა, პირნათელი, მორდილია, თავაზა... სახელთა ეს ბრწყინვალე პლეადა დავინწყებულ წარსულს უნდა გამოვსტაცოთ.

ამ სახელების მატარებელი ადამიანების შთამომავლები დღემდე იდევნებიან თავიანთი ძირძველი კუთხიდან. ბევრი გვარი, საერთოდ, ამოწყდა. ვინც მშობლიურ მიწას ჯერ კიდევ ჩაჰბლაუჭებია, სიცოცხლის საფრთხეში ჩაგდებით იცავს თავის ქართველობას, საკუთარ მეობას.

XIX საუკუნის შუა წლებიდან მოყოლე-

ბული მოსახლეობის გარკვეული ნაწილი რუსული სეპარატისტული პროპაგანდის, ხალხთა გაუცხოებისა და გადამტერების ვერაგული პოლიტიკის მსხვერპლი გახდა. სწორედ იმ დროიდან დამკვიდრდა ასეთი ადამიანების ცნობიერებაში გათიშულობისა და გაუცხოების გამომხატველი გამოთქმა: „საქართველო და აფხაზეთი“. ამ პერიოდიდან იწყება ქართული გვარების გადაკეთების, ქართული ტოპონიმების ხელოვნურად აფხაზურით შეცვლის უნიჭო, მაგრამ ძალად დამკვიდრებული ცდები, რასაც, სამწუხაროდ, ქართული მოსახლეობაც ეგუებოდა, რადგან თვით საქართველოს ხელისუფლება ასეთი თავგასულობისა და სიყალბის წინაშე თვალს ხუჭავდა, – აფხაზები არ გავანწყენოთო. ასე იქცა ქართული ცხუმი სოხუმად, ბედია – აგუბედიად, ოჩამჩირე – ოჩამჩირად, ოჭანდარე – აჭანდარად, ბამბუკოვანი – აკალამრად, სუბეში – აჩიგვარად, ჭალა – ჭლოუდ, თილითი – აბააჟვახუდ, ნყურგილი – აძიუბჟად, ქუასკური – აკვასკად, სოჭი – სოჩად და ა.შ. დღეს უკვე აღვირახსნილი გაქანებით უცვლიან სახელებს ქართულ სოფლებს და ეს ვითომ აფხაზური ტოპონიმები მანამდე არარსებული, ხელოვნური, ვიღაცის გახურებულ თავში მოგონილი სახელებია.

ისტორიულ ფესვებთან კავშირის განყვეტამ, მეფის რუსეთისა და საბჭოთა იმპერიის ანტიქართული პოლიტიკის შედეგად ცნობიერების გაუკუღმართებამ, საკუთარი სისხლ-ხორცის, მისი ენისა და კულტურის მოძულებამ დღევანდელი აფხაზური ეთნოსი „მფარველი“ რუსეთის ხახაში ჩააგდო და დაუნდობელი ურჩხული ცოხნა-ცოხნით ინელებს მას. ერთი სიტყვით, „მტერი მტერსა ვერას ავნებს, რომე კაცმა თავსა ივნოს“. სანამ გვიანი არ არის, აფხაზები უნდა გამოფხიზლდნენ და მტერ-მოყვარე კარგად გაარჩიონ. მათი, როგორც ეთნოსის, ხსნა და გადარჩენა მხოლოდ და მხოლოდ ქართველებთან ერთობაშია!

ჯერჯერობით ასეთი გამოფხიზლება ახლო თვალსაწიერში არ შეიმჩნევა, თუ ვინმე ნახევარი სიტყვით, მინიშნებით ბედავს პროტესტის გამოხატვას, ასეთს მოლაღატის იარლიყი განაღდებული აქვს და თუ არ მოკლავენ, ცოცხალს მაინც არ გააჩერებენ თავიანთ სიახლოვეს.

ამ წერილის წერა ერთი კონკრეტული შემთხვევის გამო გადავწყვიტე, იმ ერთი დაუკვირვებელი ფრაზის გამო, მაგრამ შემდეგ კალამი სხვა სათქმელისკენ გამექცა. სათქმელს რა გამოლევს! ამჟამად მხოლოდ იმას ვიტყვი, რომ ასეთი საწუხარი კიდევ


გაგვიბევრდება, თუ მტრის ხრიკებს და მოყვრის თუნდაც უნებლიე გადაცდომებს თვალს დავუხუჭავთ. ხომ არის ნათქვამი, მელას ქათმის მოტაცება თუ შეარჩინე, ცხვარს მოგტაცებსო.

შევარჩინეთ, ბატონებო, ბევრი რამ შევარჩინეთ ჩვენს არაკეთილმოსურნეებს და, უარესი რომ არ დაგვემართოს, ტურა-მელამგლები ღრენასთან ერთად ჩვენი სიტყვის, საქციელისა და აზროვნების მდინარებასაც უნდა მივაყურადოთ: მტერს ხომ არ ჩაუდგამს შიგ თავისი წისქვილი და წყალს ხომ არ ვუსხამთ მის უკუღმა დატრიალებულ ბორბალს.



ბადრი შონია

ლექსი



ჯემალ შონიას ვაჟიშვილს, ბადრი შონიას დაბადები-
დანვე დაჰყვა ტრაგიკული ბედი: იგი 1970 წლის 28 ნოემ-
ბერს დაიბადა ტყუპისცალთან ერთად, რომელიც მეორე
თუ მესამე დღეს სოხუმის სამშობიარო სახლიდან გაქრა.
ეს ის დრო იყო, როდესაც ტყუპების მამა ჯარში მსახუ-
რობდა, დედა კი თითქმის სრულიად მარტო აღმოჩნდა
პრობლემების პირისპირ.

როდესაც წამოიზარდა, იგი ხშირად ეუბნებოდა მამას,
რომ მისი ტყუპისცალი ცოცხალია და უნდა მოეძებნათ;
თურმე მის მეგობრებს სოხუმში უნახავთ მისი ალიკვალის
ბიჭი, ბადრი ჰგონებიათ და სხვა აღმოჩენილა. ძმის ბედი
სიკვდილამდე აწუხებდა მას და როგორც ყველაფრის, ამ
ოცნების ახდენასაც ვერ მოესწრო.

მხოლოდ ეს არ იყო ბადრის სანუხარი. იგი ძალიან
განიცდიდა მშობლების დაშორებას, ბევრს ცდილობდა
მათი ერთობის შენარჩუნებისათვის, მაგრამ აქაც განზი-
ლებული დარჩა.

გალის N2 საშუალო სკოლაში გამორჩეული მოსწავლე
იყო. ბოლო ორ წელიწადს საბერიოს N1 საშუალო სკო-
ლაში, მამის მშობლებთან სწავლობდა და სოფელში ყველას სიყვარული დაიმსახურა თავისი
ზრდილობით, კეთილშობილებით, ადამიანების გვერდში ამოდგომით. საოცრად დიდბუნებო-
ვანი იყო, ყველას დახმარების ხელს უწვდიდა, ყველაფერი ეხერხებოდა: სპორტი, სიმღერა,
ხატვა, მშვენიერ ლექსებს წერდა. ერთი სიტყვით, ძალიან ნიჭიერი და გონიერი იყო, ისეთი,
რომ აუცილებლად დიდი მომავალი ექნებოდა.

1987 წელს საშუალო სკოლა დაამთავრა. ამ დროს უკვე გამოქვეყნებული ჰქონდა ლექსები,
ჩანახატები. მამის პროფესია – ფილოლოგობა აირჩია და საბუთები სოხუმის უნივერსიტეტში
შეიტანა, მაგრამ იმ დროს გამეფებულმა მანკიერებამ, უსამართლობამ, ადამიანთა უსულ-
გულობამ და ნიჭის კი არა, ფულის და მოხვეჭის მონობამ ბადრის გზა გადაუკეტა და მანაც
სტაჟისთვის გალის ადგილმრეწველობის კომბინატში, დედის გვერდით, დაიწყო მუშაობა.

კომბინატში უსაფრთხოების წესების უგულვებელყოფამ, უგულისყურობამ ახლა უკვე
საბოლოოდ განირა უნიჭიერესი ჭაბუკი, რომელიც ჯერ 17 წლისაც არ იყო: 1987 წლის 22 ოქ-
ტომბერს კომბინატის წყალგამაცხელებელი ქვაბი გასკდა და იქვე მდგომი ბადრი ორთქლით
დაინვა, აფეთქების შედეგად მეორე სართული მთლიანად ჩამოინგრა და ქვეშ მოიყოლა, დამ-
წვრობას მრავლობითი მოტეხილობაც დაემატა.

ჯანმრთელი, ჯანსაღი ბიჭის გვემული სხეული რამდენიმე საათს ებრძოდა სიკვდილს,
მაგრამ ამაოდ: ექიმები ვერაფრით დაეხმარნენ, თავიდანვე ხელი ჩაიქნიეს და მასაც ტანჯვით
აღმოხდა სული.

ზემოთ აღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით, თითქოს გაუხარელი ცხოვრება
ჰქონდა, მაგრამ ბუნებით მხიარული და შემართული იყო. გადამდები იყო მისი ოპტიმიზმი,
მის გვერდით მყოფი, დიდი თუ პატარა, უპრობლემოდ გრძნობდა თავს. ერთხელ საბერიოს
სკოლაში მისმა ერთმა თანაკლასელმა სწავლას თავი დაანება რომელიღაც მასწავლებლის
მიზეზით. რა არ იღონეს, ვინ არ ჩარიეს სკოლაში მის დასაბრუნებლად, მაგრამ ვერაფერი გა-
ანყვეს. არავის არ დაუვალებია, ბადრი ისე მივიდა ამხანაგთან სახლში, არავინ იცის, რა უთხრა
მას ისეთი, რომ გაბუტული მოსწავლე ბადრისთან ერთად იმავე დღეს გამოცხადდა სკოლაში.

მეოთხე კლასიდან თვითონ დადიოდა საბავშვო ბიბლიოთეკაში, კითხულობდა ბევრს,
წერდა და მომავალზე ფიქრობდა, მაგრამ თურმე მეტი წლები არ ეწერა, არაფერი არ დას-
ცალდა. გალში, პირველი გალის სასაფლაოზე ომის გამო მომკითხავიც შეუთხელდა, მაგრამ

ახლაც არ ივინყებენ თანაკლასელები, მასწავლებლები, მეზობლები...

ბადრი შონია და მისნაირი ახალგაზრდები, რომლებიც ადრე წავიდნენ ამქვეყნიდან, დიდად წაადგებოდნენ სამშობლოს, სიკეთეს, ნებისმიერ კარგ საქმეს. ვაგლახ, რომ საზოგადოება თავისი უსამართლობით გზას უღობავს პატიოსანი ოჯახების ნიჭიერ ბავშვებს, რომლებიც უფროსების გულგრილობის გამო ფიზიკურადაც წადგურდებიან, როგორც ეს ბადრის შემთხვევაში მოხდა.

როდესაც ახალგაზრდები ჩვენგან მიდიან, მაშინ კვდებიან სიხარულებიც, სიყვარულებიც, ქორწილებიც, მათი გასაჩენი შვილებიც და შვილიშვილებიც, დასანერი ლექსებიც და ადამიანებისთვის ესოდენ საჭირო თანადგომაც, იმედიც და ნუგეშიც... ისინი მხოლოდ ზეციური სასუფეველიდან გადმოჰყურებენ თავიანთ უარყოფელ, მკაცრ და შეუბრალებელ მინიერ სამყოფელს.

ბადრის მამას კი ისლა დარჩენია, რომ შვილს ერთი სურვილი მაინც შეუსრულოს და მისი ტყუპისცალი იპოვოს... 47 წლის შემდეგ.

ლამაზია საქართველო

აქეთ ვარდი და ყაყაჩო
გაფურჩქნილა, ყვავის,
დახვეულ ვაზს გამოუსხამს
იქ მტევნები ქარვის;
ზოგან თეთრი ქედებია,
ზოგან – მწვანე ბარი,
აქ ირხევა ქარში ზვირთი,
იქ – სიონის ზარი.

აქეთ ენგური ბობოქრობს,
იქით კიდევ – მტკვარი,
შეუხსნია თერგის ჩქერებს
დარიალის კარი...
ლამაზია საქართველო
და უფრო კი მაშინ,
როს მინაზე ვარდი ყვავის
და ვარსკვლავი ცაში.

ქარი

ქარი ფიქრებს ეპარება,
აჭრიალებს კარს,
წვიმა მკერდზე მენამება,
ემალება ქარს.

ქარი სანთელს ისევ მიქრობს,
მხვევს უხილავ მკლავს,
ვზივარ, ისევ შენზე ვფიქრობ,
ფიქრებს ვატან ქარს.

ფიქრი შენკენ მიიჩქარის,
უშენობა კლავს,
ისევ წვიმს და ისევ ქარი
აჭრიალებს კარს.

ბედნიერება არაა განა?

მე დავიბადე საქართველოში,
ქართველმა დედამ მის მზეში მბანა;
მე გავიზარდე საქართველოში, –
ბედნიერება არაა განა?

მე საქართველოს ზეცა შევიცან,
სითბო მაგემა ხემაც და ქვამაც,
ასეთ მხარეში კაცი ცხოვრობდეს, –
ბედნიერება არაა განა?

მე ლაპარაკი დედამ მასწავლა,
მიმღერა ტკბილი ქართული ნანა,
დედასამშობლოც მან შემაყვარა, –
ბედნიერება არაა განა?

ასეთ ბუნებას, ამნაირ კუთხეს
რომ თავყანს სცემდე ყოველთვის, მარად,
რომ ამ მიწისთვის იზრუნო მუდამ, –
ბედნიერება არაა განა?

ყველაზე ძნელი

ყველაზე ძნელი ეს ცხოვრებაა,
ეს ცხოვრებაა ამ ქვეყანაზე...
მხოლოდღა კმარა თვალის გახელა
და ეს ცხოვრება უცებვე ქრება...

რა მალე იცვლის ფერს ეს სოფელი,
რა მალე გადის ეს დრო ტიალი,
დასანანია, რომ ეს სიცოცხლე
მთავრდება იმით, რომ ბოლოს კვდება.

უმალ შევწირე ილორს
ბენწებფუმფულა კრავი,
ოლონდაც, ჩემი იქენ,
ოლონდაც, შემეყვარე.

შევყურებ ცას,
შევყურებ მთას,
შევყურებ მდინარეს
მთიდან მომდინარეს...
შევყურებ მთვარეს,
ვარსკვლავებს შევყურებ,
შევყურებ ახლობლებს...
ჩრდილებს შევყურებ...
შევყურებ სიზმრებს,
შევყურებ ოცნებას,
შევყურებ ფიქრებს,
შევყურებ სიყვარულს...

რამ მომაჯადოვა?
ვინ მომაჯადოვა?

ფიქრმა დამლალა...
გამიფრინდა
თეთრი თოლია...

თეთრი თოლია
მიფრინავს შორს
დასავლეთისკენ...

ვერც წვიმა,
ვერც თოვლი,
ვერც დიდი დრო
ვერც წაშლის
წარწერილს გულზე...

მინდა პირველმა დავინახო
ჯერარშექმნილი,
ჯერარდადგმული, არალმართული
ძეგლი...

მინდა პირველმა მოვისმინო
ჯერარდანიერილი სიმფონია
ფოთოლთ შრიალის...
მინდა პირველმა დავინახო
ჯერუნახავი სპექტაკლი,
სადაც სიცოცხლე გაიმარჯვებს
კვლავინდებურად...

ალარასოდეს მიფიქრია,
როგორ მოვკვდები,
ალარასოდეს არ მიგრძნია
სიკვდილის შიში,
ალარასოდეს მიფიქრია,
სად შევყოვნდები –
დავრჩები მზის ქვეშ თუ სხვებისა
ვიქნები ჩრდილში...

ჩვენი ცხოვრება
დამსგავსებია
იმ ფერს, ვარდს რომ აქვს
ხოლმე მაისის.
მოდით, ავანთოთ
სიცოცხლე ლამპრად,
სიცოცხლეს რათა
ჰქონდეს ხალისი...

ამ მოქუფრულ დღეს ფიქრმა წამილო
შორს... შენი სახე მომნატრებია.
ქარი სახეზე მომელამუნა
ისე, თითქოსდა შენი თმებია.

აქ ჩაიქროლა ვილაცის ჩრდილმა
და მომეჩვენა, რომ შენ იყავი...
რარიგ მინდოდა, ო, როგორ მსურდა,
ახლა ჩემ გვერდით ყოფილყავი.

გადაპენტილა ყვავილებით
ხასხასა ველი,
აჭრელებულა უხვი ფერებით...
ერთი მათგანი ამოვარჩიე,
ნიავის მიერ ატოკებული
და მიმზიდველი
იმნაირად, რომ
მისი სითბოთი ცოცხლობდნენ თითქოს
სხვა ყვავილები...
მივუახლოვდი ვედრებით მას და

შევეხვეწე, რომ გულმონყალეს
გადმოეფრქვია
თავისი სითბო...
ო, უბადრუკი ჩემი სულიც
გაეთბო იქნებ...

ქარი ქროდა აყვავებულ ბაღში...
გამოსტაცა ტოტებს ნაზი ფოთლები
და ჩაყარა ჩემი სულის ტბაში...
შევიწახავ, სანამ დამიბრუნდები...

რა ვიყავი? ახალა რა ვარ?
იქნებ მითხრათ, რა ვიქნები?
იქნებ ისიც კი მაუნყოფოთ,
დავდნები თუ დავინვები?

იქნებ, იქნებ ასე დავრჩე,
ასე დავრჩე მარად:
მოუთმენელ და აბეზარ,
დაუდგრომელ ქარად...



გოგი შონია

ბინეხიში სიგჷონია

ლორონც ართო ღუბადებ
ბინეხი დო მარგალი,
აბა, შხვა მი გიძირნა
თე ჯინჯღულაში მარგალი.

ადამი დო ევაში დროშე
მოიში-მოიშე გათოჩხირკე:
მითაჟამშე ათოპუნს
ოჭნახი, ლაგვანი დო ხირკე.

ვართი ჯა რექ დო ვართ ბუჩქი,
მიკი-მოკილულუა,
ჭველას ქიგაკარკანტუქუ,
ცაკორკონტმა მულუა.

არძო ჯა გიჯგუ სისქვამეთ,
ვაილუ ტანი დო ანდოგანი,
მარა სქანი ჯინც ჯუნუნდეს
ხაიამ დო ფიროსმანი.

რინა ვალირ უსქანეთ,
ჩქიმი ბინეხი ჯინჯილულა,
ადესა დო ოჯალეში,
ჩქიმი ნოვა დო ჩქიმ ფრანგულა.

სქანი ძალას შეულებუ
შურიში ცაშა ცუნაფა,
შურდგმა რექ თელეფიში დო
ღურელეფიში ჩხონაფა.

სი ქიგგალე, ჩქიმ ბინეხი,
სქანით მოფრთი თე დროშა,
ვაფშუნქუნი – მეფქურქულა,
გებდაცუნქი – მებროშა!



ვალერიან ვიკუა

აბელ უღუმ ინმაკუნე,
 უღუს ათურდ ჯიმაღურს,
 უჩქდ ჯიმა ჯიმაშენი,
 ორდე იკო, ვადოღურე...
 ჯიმაღური ცოროფას,
 მუჭო ნონუნქ, მუ ანურე,
 აბელს გურს გეჭარუდ,
 ვარდ უჩხონჩხე, ვარდ უგურე...
 დეკვირენი უკული მურე,
 ჯგირ მუჭო რე გასაკვირი,
 ჯიმაღეფში გოჭყაფილი,
 ართნერი რე ლხინ დო ქირი...
 მარა თინა აბელ ორდ,
 ოკო თქუე, ვართ აცურე.
 კორ ვარჩხილიშ მოცოროფე,
 მაჯინე რე კაენ ცურე...

გამდა თქუანდ არიკეფს

ზოთონჯიშ გინძე სერს
 მამდა თქუანდ არიკეფს...
 უკულ ჰამო სიზმარეფს
 დემეფ იფანდურუდეს...

წყარიშ დიდეფ წყურგილეს
 ირემეფს ჭვალუნდეს...
 ტყაშმაფეფი თუმაშა
 ვარდეფს მიშებეჭანდეს...

წანეფ წანეფს თხოზუდეს,
 ქაშმოღინუ ბორჯიქ ხეს...
 ასე ონდეთ მითმუაგუქ
 ბალანობაშ ნოქურეფს...

ვეგითინუ შური ღულა

სამარგალოს ართგანეფი
 ალმატერო მურენა...
 ეკირთუდა, გერიშორო
 მაზვირთალო გურენა...

აფხაზა დო აფსუას
 ართიანს ურენა...
 მენცარეფი დამუნჯეზე,
 ართო ქელაღურენა...

აფხაზა დო აფსუას
 ვაცუნდეს ართი მუმა...
 აფხაზა რე ჩქინი ჩხვიჩვი,
 აფსუა რე მუნაულა...

აფსუაში ნასაქვარ,
 ვეცუაფუ დღას თინუ...
 ამდლა არძო ქუვორწყეთ,
 მუ აკეთ დო მუ ქიმიწუ...

პუხას დინა ასნორენს,
 ვეგითინუ შური ღულა...
 ჩქი გოფთინათ ჩქინი საქმე,
 გოღანერი წუნაულა...

ოდაბადე გვალო შხვარე

აფხაზეთიშ დუნაბადიქ,
 შურობუმუს ქუგუაღე...
 სქან კიდირს გამკუოხორცქინ,
 უკულ ლუკმა ბჭკომი მწარე...
 შხვადო ორქოს ქიმშახედე,
 ოდაბადე გვალო შხვარე,
 მუთი გურსუ ითაკარუ,
 ვეთქუე დო ვართ იჭარე...

გემო მუთუნს ვემშუობირე,
ფურჩა რე დო ირფელ ჭა რე...
თაქ ცუდე, დოხოორემა
თექ მისხუნუ ფაცხა, კარე...
თხოზინელი გილულ ხვალე
კოლხი ვორექ უჭიმკარე...
სქან ცოროფა, შურობუმუ,
გურშე დღას ველმანგარე...
ძალკიდირით ვაგალოლე,
გურს მუდგა ვადაძალე...
თექ კიდირს ქეოლურე,
ღორონთს ფთხულე ხვათახვალე...
ხოლო ღორონთ, ქომსაშველე,
შხვა საშველი მუთუნ ვარე...
სანთელ-საკმელ უკუმელას
სინათლეში მაგორალ რე...

მუმაჩქიმიშ ნარაგალი

ოდაბადეს მოხარცქილი,
სო ვორექ, სონ დუნაბადი,
სერით ფიქრეფს ვორკინუქ,
ვორეთ მა დო ჩქიმ ნაბადი...
ირიათო გგმაშინე,
მუმაჩქიმიშ ნარაგალი:
„ჯგგრ ქიმიანი, ჯგგრ აკეთი,
გათასედა, თასი მარდი...
ორდა კოჩი, ვართი ლანდი,
გილუდას პიჯი ართი...
სიმართლესი ემსახური,
მართალ სიტყვა თქვი დო ჭკადი..
ვაკეთ მუმამ ნარაგალი,
ვამკომქუნუ შხვაში ლართი...
ბაბაქ მინუ თემ გილაფრთი,
ძერ ბჭვარი დო დობრგი ვარდი...



ვულოცავთ ლუარა (დოდო) გამყრელიძეს!



22 აგვისტო თქვენი დაბადების დღეა. მას შემდეგ, რაც ჩვენი სამშობლოს თავზე შავი ღრუბელი ჩამონვა და ეროვნული ხელისუფლების დამხობას აფხაზეთის ტრაგედია მოჰყვა, ჩვენ, თქვენს ქერს შეფარებულები, თქვენს კალთას შეხიზნულები, ბარე მეოთხედი საუკუნეა, დიდი სიყვარულითა და თაყვანისცემით გილოცავთ ამ დღეს ერთმანეთისგან განუყრელი ორი სურვილით: თქვენ იყავით ჯანმრთელად და ბედნიერად, ხოლო თქვენი სამშობლო იყოს ისეთი, თქვენ რომ გინდათ, იბრძვით და ოცნებობთ.

სწორედ თქვენი თავგანწირვისა და თანადგომის წყალობით იქცა უკეთესი სამშობლოსათვის ბრძოლის, უკანონობასა და უკეთურობასთან შეურიგებლობის სიმბოლოდ გამოთქმა: „ტაშკენტის ოცდახუთი“. დიახ, თბილისში, ამ მისამართზე ცხოვრობს მშვენიერი ქართველი ქალბატონი, რომელმაც იცის საოცარი ერთგულება, რომელიც მუდამ გაგინევს ერთგულ დობას, დედობას, რომლის ბინის კარი ყოველთვის ღიაა, ამ სიტყვის პირდაპირი გაგებითაც, ოღონდ

შენ უნდა შემოგესვლებოდეს, ოღონდ მამულის სიყვარული გულზე ჭრილობად უნდა გაჩნდეს, ოღონდ სამშობლოსთვის უნდა გაიღო ყველაფერი და არა სამშობლოსგან ელოდებოდე რაიმე სარგებელს.

ეს თქვენ ხართ, ჩვენო ლუარა, ჩვენო დოდო! სახელებს სხვადასხვანაირად გეძახიან, მაგრამ თქვენ სხვა სახელიც გაქვთ, რომელიც უფალმა დაგანათლათ: თქვენ ხართ თქვენი სამშობლოსთვის თავდადებული, ჩვენი ეროვნული მოძრაობის მოამაგე, მართლაც სახელოვანი ქართველი ქალბატონი, რომელმაც თავისი ჩვეულებრივი ბინა დიდ შემოქმედებით სახლად აქცია, სადაც კალმით ემსახურებიან სიმართლეს, სადაც წერენ, ქმნიან, გამოსცემენ წიგნებსა და ჟურნალ-გაზეთებს, სადაც ადამიანები სწავლობენ ძმობას, მეგობრობას, სიყვარულს, სადაც თქვენი დიასახლისობით იმლება სუფრა და სადაც ჩვენ ვიკვებებით არა მხოლოდ პურითა ერთითა, არამედ დიდი სულიერებით, ზნეობით, ადამიანურობით და ყოველივე ეს თქვენგან მომდინარეობს.

წლები გადის, თქვენს ასაკსაც ორი შვიდიანი ამოსდგომია გვერდით, მაგრამ ისინი გაიყრებიან, დადგება რვიანებისა და ცხრიანების ჯერი, თქვენ კი, დაე, განუყრელად იყავით ჯანმრთელობასთან, ნათელ დღეებთან და დამტკბარიყავით ერთიანი და ბედნიერი საქართველოს ხილვით!

სიყვარულით:
თქვენი ტაშკენტის ოცდახუთი

ვულოცავთ ნოდარ ნონიაშვილს!



70 წლის იუბილეს ვულოცავთ საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს წევრს, დამოუკიდებლობის აღდგენის აქტის ხელმძღვანელს, ცნობილ სპარსოლოგსა და მთარგმნელს **ნოდარ ნონიაშვილს**.

ნოდარ ნონიაშვილი დაიბადა 1947 წლის 11 აგვისტოს ქ. დმანისში. 1970 წელს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტი, 1975 წელს – ასპირანტურა და ეწეოდა ნაყოფიერ სამეცნიერო-პედაგოგიურ მოღვაწეობას. ამასთან ერთად იგი აქტიურად იყო ჩართული ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობაში და ღირსეული წვლილი შეჰქონდა საქართველოს სახელმწიფოებრივი ინტერესების დაცვაში

ამ მხრივ ისეთ რთულ რეგიონში, როგორც ქვემო ქართლია. 1990 წლის 28 ოქტომბერს ნოდარ ნონიაშვილი არჩეულ იქნა საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს მაჟორიტარ დეპუტატად დმანისის საარჩევნო ოლქიდან.

კანონიერი ხელისუფლების დამხობის შემდეგ ნოდარ ნონიაშვილი აქტიურად იყო ჩაბმული სამართლიანობის აღდგენისთვის ბრძოლაში.

განსაკუთრებით აღსანიშნავია ნოდარ ნონიაშვილის ლიტერატურულ-მთარგმნელობითი საქმიანობა. იგი არის სპარსული ენის ჩინებული მცოდნე და გამოცემული აქვს ამ ენიდან თარგმნილი მრავალი წიგნი. ამასთან ეს თარგმანები მაღალ მხატვრულ დონეზეა შესრულებული; მისი ქართული გამოირჩევა მდიდარი ლექსიკით და მასში სრულადაა გამოვლენილი ჩვენი დედაენის მეტაფორულ-ნარმოსახვითი შესაძლებლობანი.

კიდევ ერთხელ ვულოცავთ ბატონ ნოდარ ნონიაშვილს ამ ლამაზ იუბილეს და ვუსურვებთ კვლავაც დიდი ხნის ნაყოფიერ მოღვაწეობას მშობლიური ქვეყნის საკეთილდღეოდ!

ჟურნალ „მიჯნის“ რედაქცია

რაც კარგი ქენი

ნოდარ ნონიაშვილს

რაც კარგი ქენი და ქვაზე დადე,
არ დაგხვედრია თუმც ყველა წინა,
ფიქრებში მაინც სინათლეს ანთებ,
ჩემს ბილიკზედაც რომ გაიბრწყინა.

ავი დრო-ჟამის ქარი და მტვერი
გზა-გზა ბურუსებს ამაოდ ხლართავს,
მტერი გყავს, მაგრამ მომრევი მტერი
როდის ჰყოლია სუფთას და მართალს?

აღარ მიმწყდარა ბრძოლების ექო,
მამულის ღალატს შეარჩენ არვის
და ხვალინდელი ცა უნალექო
მადლით შემმოსველ შუქს შენთან გზავნის.

გაქვს ხელისგული მარცვლებით სავსე,
რომ დააპურო სიკეთის ხნული
და როგორც ნამდვილ ქართლელს და ქართველს,
იმედით ჯერ არ დაგცლია გული.

მომთმენო ჭირში, მოძმეთა ჭირთან
ხარ მეომარი, გამწვდენი ხელის
და თანადგომის ჭაპანის ზიდვამ
ვეღარ დაგღალა, მხნეობა გშვენის.

ესაა შენი გზის სიდიადე,
ბედი, განგებამ რაც განგიჩინა:
რაც კარგი ქენი და ქვაზე დადე,
ყველა უკლებლივ დაგხვდება წინა.

ჯემალ შონია

10 VIII, 1997 წ.



ჩვენი დაუვინყარი ანტონი

28 აგვისტო, მარიაშობა, ანტონ არნანას დაბადების დღეა. ამ თარიღმა უკვე ახალი ასწლეულის ათვლა დაიწყო, მაგრამ, რა დროც უნდა გავიდეს, ვერაფერი დააკლებს ამ დიდებული ქართველის, ჭეშმარიტი შემოქმედის ხსოვნას. თითქოს გუშინ იყო, ჩვენ გვერდით რომ იდგა ეს სიცოცხლით სავსე, მხნე მოხუცი, ახალგაზრდულად ხვალინდელი დღის მოიმედე, ახალ წიგნზე მოფიქრალი, ძველკოლხურად მომლხენი და მოქეიფე. მისი ეს სიმხნევე, ღიმილი და ცოცხალი სიტყვა გადამდები იყო ბევრად მასზე უმცროსებისთვისაც შინ თუ გარეთ, ოჯახსა თუ საზოგადოებაში.

ანტონ არნანია იყო პოეტი, პროზაიკოსი, ჟურნალისტი, დიდებული პედაგოგი და საზოგადო მოღვაწე, რომელიც არა მხოლოდ მშობლიურ დარჩელში, მთელ სამეგრელოში ცნობილი იყო, როგორც კანონიერებისა და სამართლიანობისთვის უშიშარი მებრძოლი.

მიუხედავად ცხრა ათეული წლისა, შესაშური იყო მისი ნაყოფიერი, დაულალავი შემოქმედებითი მოღვაწეობა; გამოსცემდა გაზეთ „დარჩელს“, სამ წიგნად გამოსცა ავტობიოგრაფიული მხატვრული რომანი „ერთი სიცოცხლე“, მუშაობდა მის მეოთხე წიგნზე, მაგრამ არ დასცალდა. თუმც ესოდენ ხანდაზმული იყო, მაგრამ მაინც მოულოდნელი ეთქმოდა მის სიკვდილს, რადგან ლოგინად ერთი დღითაც არ ჩავარდნილა...

ნათელი დაადგეს მის სულს! ნათელში იყოს ჩვენი დაუვინყარი ანტონი, რომელმაც თავისი წუთისოფელი ღირსეულად მიუძღვნა დედასამშობლოს.

ჟურნალ „მიჯნის“ რედაქცია



მიხა კოლხის ბახსენება

15 აგვისტოს 91 წლისა შესრულდებოდა ცნობილი ქართველი პოეტი, პროზაიკოსი და პუბლიცისტი მიხეილ ჩაჩუა, რომელიც სიცოცხლის ბოლო წლებში მიხა კოლხის ფსევდონიმით აქვეყნებდა ლექსებსა და წერილებს.

მიხეილ ჩაჩუა უფროსი თაობის იმ შემოქმედთ ეკუთვნის, რომლებიც მეგობრობდნენ ჩვენს რედაქციასთან, გამომცემლობა „ზანთან“. გვახსოვს, დაბადების დღე ერთხელ ტაშკენტის 25-ში გადაიხადა; ჩვენს გაზეთებში აქტიურად თანამშრომლობდა.

გასული საუკუნის 90-იანი წლების დასაწყისიდან მიხეილ ჩაჩუა წარბშეუხრელად იბრძოდა სამართლიანობისა და კანონიერებისათვის, იყო ეროვნული ხელისუფლების აქტიური მხარდამჭერი. გაგიკვირდებოდათ, რამდენი ენერგია დუღდა ამ ტანად პატარა კაცის გულში. მიხეილ ჩაჩუას კალამი ძალზე უჭრიდა, მისი სიტყვა მახვილივით იყო და ყოველთვის მიზანში ხვდებოდა. ბოლო დროს, ხელმოკლეობის გამო, გამოსავალი იმით იპოვა, რომ პატარ-პატარა, ერთ-ორფორმიან წიგნებს უშვებდა დაზოგილი პენსიით, ქვას ქვაზე არ ტოვებდა, ამხელდა და აცამტვერებდა იმით, ვისაც ქვეყნის დაქცევაში ედო წილი.

მიხეილ ჩაჩუას უამრავი გამოსაქვეყნებელი მასალა დარჩა: ლექსები, ნოველები, რომანები, პუბლიცისტური წერილები. იმედი გვაქვს, რომ გამოჩნდება ვინმე მაღლიანი და დღის სინათლეს ახილვინებს ამ ნაწერებს. მიხეილ ჩაჩუა ამის ღირსია, იგი ხელწამოსაკრავი შემოქმედი არ გახლავთ არც სიმართლის ერთგულებითაც და არც მხატვრული სიტყვის ოსტატობითაც.

ჟურნალ „მიჯნის“ რედაქცია



როდესაც დედა მიღის...

(ანია ლემონჯავა-ზაქარაიას ხსოვნას)



გაუხარელი ამბები მოდის ენგურის გაღმიდან... გაუხარელია იქ დარჩენილი ქართველების ყოფა, რომელთაც დედანაზე სწავლასა და ლაპარაკს უშლიან, ყოველგვარ უფლებებს ართმევენ და ძირძველი ფუძიდან აძევებენ... ლოდინით, მოთმინებით ავსებულან იქაურთა ფიქრები, ნატვრები... ამასობაში დრო გარბის, ნუთისოფელი ბალახის ნამივით ილევა და მიაქვთ ადამიანებს მარადიულ სასუფეველში გაუყურებელი ტკივილი, გაუქარვებელი სევდა, აუხდენელი ოცნება...

და აი, კიდევ ერთი სამწუხარო ცნობა მოვიდა ენგურისპირა სოფელ თაგილონიდან: გარდაიცვალა **ანია ლემონჯავა-ზაქარაია** – დიდებული კოლხი ქალბატონი, მტერშესეული მინის შეურყეველი დედაბოძი, მეზობელ-ნათესავთა იმედი და, რაც

მთავარია, დედა, რომელსაც ამ ისედაც მიძიმე და გაუბედურებულ ვითარებაში უსამართლობით დამძიმებული ტვირთიც მტკივნეულად დაანვა...

უკანონობის, განუკითხაობის, უსამართლობის, სატანურ ძალთა და ვნებათა აღზევების წლებში სხვაგვარად როგორ იქნებოდა საშა და მანუჩარ ზაქარაიების დედა – აღმზრდელი მამულისათვის გულანთებული შვილებისა, რომლებმაც ყველაფერი გაიღეს იმისათვის, რომ სამშობლო მტერსა და მოლალატეს არ წაეღეკა, რომ გადარჩენილიყო ქართველი ადამიანის ღირსება, სახელი, რომ ბოროტებას არ ეზიებოდა სიკეთეზე... განსაკუთრებით ძნელი აღმოჩნდა დედისათვის უსამართლო, მოძალადე ხელისუფლების მიერ საშა ზაქარაიას 13 წლით ციხეში გამომწყვდევა! დიახ, ძნელი იყო ქორწილების, ძეობების ნაცვლად ტანჯვის, უმწეობისა და სიმარტოვისათვის თვალის გასწორება... და ეს მხოლოდ იმიტომ, რომ დედამ შვილები ღირსეულად აღზარდა, ჭეშმარიტ მამულიშვილებად აქცია, რომელთათვისაც სინდისი და პატიოსნება, სიმართლე და სამართალი წინ გადევნებული ლამპარია.

...მორჩა დედის ნუთისოფელი, თეთრად გათენებული ღამეები, შრომასა და ლოდინში დაღამებული დღეები, რკინის ქალამნები, სიხარულები, ტკივილები, იმედები, განზილებები... მაგრამ დარჩა ქალ-

ბატონი ანიას ნათელი ხსოვნა, დანთებული კერა, ჩაყრილი თესლი, რომლებსაც დრო ვერაფერს დააკლებს, უფრო გაძლიერდება, უფრო გაღვივდება. სხვანაირად არც არა-

სოდეს მომხდარა, როდესაც დედა მიდის...

ნათელი დაადგეს ქალბატონი ანიას სულს, უფალი ფარავდეს მის მოდგმას და სამშობლოს!..

შვილები საშა, მანუჩარ ზაქარაიები, ძმა არველოდი ლემონჯავა, მურმან, გია, ბადრი ზაქარაიები ოჯახებით იუნყებიან **ანია ლემონჯავა-ზაქარაიას** გარდაცვალებას.

დაკრძალვა გალის რაიონის სოფელ თაგილონში.

ტექნიკური რედაქტორი: ლუარა გამყრელიძე

კომპიუტერული მომსახურება: თეანა ზაქარაია

დამკაბადონებელი: ნანა ყანდაშვილი

დიზაინი: ირაკლი უშვერიძე

ავტორებს ვთხოვთ, მოგვანოდონ მასალების ელექტრონული ვერსია

აინყო და დაკაბადონდა შპს „გამომცემლობა „მიჯნაში“

☒ ტაშენტის ქ. №25, ბ.1, ტელ. 2-38-03-11

დაიბეჭდა გამომცემლობა „უნივერსალის“ სტამბაში

☒ ჭავჭავაძის გამზ. №19, ტელ. 2-22-36-09